

ს დაზიანები

K1540  
1

საქართველოს ეპონომიური  
ვითარებისათვის

გამოცემა „სორაპანი“-სა.

თბილისი

სტამბა „სორაპანი“, მადათ, კუნძ № 1.

1921

ს. დარიანი.

ბეჭედისას:

საქართველოს ეკონომიკური

პირარიგისათვის

K 1540  
1



თბილისი

სტამბა „სორაპანი“, მაღათ, კუნძ. № 1.

1920

35.2019-6742

## I.

საქართველო დაადგა თავისუფალ პოლიტიკურ განვითარების გზას. ეს კი ბევრს ავალებს ქართველ ერს. პოლიტიკურ მართვა-გამგეობას მაშინ აქვს აზრი, როდესაც ის ემყარება ხალხის ვითარების სწორ შეგნებაზე. ვინც არიცის ამ ვითარების ხასიათი, მას არ შეუძლია გონიერად წარმართოს ქვეყანაც. ასეთ შემთხვევაში ერის ცხოვრება ხდება ბრძა ძალთა გავლენის მსხვერპლი და პოლიტიკას, რომლის დადებითი მნიშვნელობა სწორედ იმაში შესდგება, რომ ჩამოასხას შეგნებულ ფორმაში უფორმო სოციალურ-ეკონომიკური შინაარსი, ეკარგება *raison d'être*. პოლიტიკა ასეთ პორობებში როგორც შეგნებული მოქმედება, ისპობა და ნამდვილ პოლიტიკის ნაცვლად გვრჩება მხოლოდ სახელი პოლიტიკისა. ეს არის კომედია, არც იმდენად სასაცილო, რამდენადაც სატირალი.

ჩვენს დღევანდელ პოლიტიკას რომ აკვირდები ამჩნევ რომ მას მართავს არა გონება, არამედ ინსტინკტი: გონება იმ პარტიისა, რომელიც უდგის დღეს საქართველოს სათავეში, არის ანტი-ნაციონალური. ეროვნება, როგორც პირველი ხარისხის ლირებულება, რომლის გა-

დახურდავება არ შეიძლება, ჩვენ მმართველ პარტიის  
გონიერებას არ სწამს. მიუხედავად ამისა, საქართველოს პო-  
ლიტიკა დღეს ეროვნულია, საქართველოს მმართველი  
პარტია ამტკიცებს ქართულ ეროვნებას. ცხადია, მაშა-  
სადამე, რომ რეალური პოლიტიკა მენტევიზმისა, საფე-  
ხით ეწინააღმდეგება მის იდეოლოგიას, ე. თ. საქე  
ეწინააღმდეგება აზრს.

მაშ ფსიქიკის რომელ ძალაზე ეყრდნობა მმართველი  
პარტია საქართველოს რესპუბლიკის მართვის საქმეში?  
თუ ეს ძალა არ არის გონიერა, მაშინ ჩვენ გვრჩება მხო-  
ლოდ ინსტინქტი. გადაჭარბება არ იქნება ამისათვის,  
თუ ვთქვით, რომ საქართველოს მმართველი პარტია მა-  
რთავს საქართველოს ინსტიქტიურად.

საღ მივყავართ ამ ინსტინქტს, ამას ჩვენი მმართველი  
პარტია ვერ ხედავს. მას ასეთი კითხვაც არ ებადება. ის  
მხოლოდ **გრძნობს** რომ ქართველი ხალხი, ან უკეთ, ქარ-  
თველი ამომზრჩევილი თხოულობს თავის განმტკიცებას და  
მიჰყება ამომზრჩეველს ამ მოთხოვნილებაში. მაგრამ რაღან  
მმართველ წრეს არ ესმის იდეა მთელი ერისა, ის უპირატე-  
სობას აძლევს იმას, ვინც ყველაზე უფრო ახლოა მასთან,  
ვინც ყველაზე უფრო აწუხებს მას. სწორედ ეს არის მიზეზი  
იმ მოვლენისა, რომ დღევანდელ საქართველოში რკინის  
გზის მფუძებს ყველაზე უფრო მეტს პატივს სცემენ: ჩვენ-

ნი ცხოვრების მესაჭენი ვერ აფასებენ ღირსეულად ქართველი ერის სხვა და სხვა წრებს მთლიანი ეროვნული იდეის თვალსაზრისით.

ზოგჯერ, მართალია, გაბატონებული პარტია სტოკებს ინსტინქტის საზღვრებს და ცდილობს დაემყაროს თავის მოქმედებაში გონებას. მაგრამ იმ წამსვე გამომყლავნდება ხოლმე, რომ მისი ნააზრევი არაფრით არ განსხვავდება ვულგარულ წარმოდგენიდან, ამის გამო მისი შეგნებული მოქმედებაც უფრო მკითხაობას წააგავს ვიდრე გონიერათ დასაბუთებულ სახელმწიფოებრივ მართვას. სხვათაშორის ეს გამოიხატება სწორი პოლიტიკური ხაზის უქონლობაში.

თუ ეს ასეა, რით აიხსნება მენშევიზმის დღევანდელი გავლენა საქართველოში? ეს გავლენა მომზადებული იყო ისტორიული მიზეზებით \*). თვით რევოლუციის მსვლელობამ ჩაუგდო მენშევიკებს პოლიტიკური ძალა-უფლება ხელში\*\*). ხანა რომელშიდაც ვცხოვრობთ, ჯერ კიდევ გამოურკვეველი ხანაა. არ ვიცით, ხვალ რა იქნება. ყოველ მხრით მტრებით გარს შემორტყმულ ქართველი ხალხის მთელი ყურადღება მიქცეულია გარეშე საფრთხის მიმართ. შინაურ განხეთქილე-

\*) იხ. ჩემი წიგნაკი „Грузия после 1905 года“.

\*\*) იხ. ამაზედ ჩემი წერილი „საქართველოში“ ივნისი 1917 წ.

ბაზე არავინ ფიქრობს. ეროვნული ჩრდილავს კერძო-  
ობითს, ასეთ ხანაში, მართლაც, შენშევიკური პოლიტი-  
კა ე. ი. სრული უპოლიტიკობა, გონების ჩარჩოების და-  
ტოვება და ინსტინქტზე დაყრდნობა საუკეთესო საშუალე-  
ბაა. თუ ერს იხსნის რამე, იხსნის მას მისი ინსტინქტი  
როდესაც მგზავრი იბნევა უზარმაზარ ტყეში, ის სადა-  
ვეს ხელიდან უშვებს და თავისუფლებას აძლევს თავის  
ცხენს, იმ იმედით, რომ პირუტყვის ინსტიქტი ასეთ პი-  
რობებში უკეთესად გაიკვლევს სწორ გზას, ვიდრე ადა-  
მიანის გონება. აი ასეთ მდგომარეობაში იმყოფება დღეს  
საქართველოს. მმართველი პარტიის სისუსტის გამო, ქა-  
რთულ ეროვნულ ინსტიქტს არაფერი აბრუოლებს. ამ  
ინსტიქტმა იმ ზომაზედ მძლავრად იფეთქა, რომ გაიტა-  
ცა თვით მთავრობაც: მიუხედავად იმისა, რომ მის იდე-  
ოლოგიის და ეროვნულ ინსტიქტის შორის იყო წინა-  
აღმდეგობა, მან ხალხზე გავლენის შესანარჩუნებლად  
თავის იდეოლოგიას უდალატა და გაჰყვა ხალხს. სწო-  
რედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ დღეს მენშევიკურის პო-  
ლიტიკას აქვს ხალხში გავლენა.

დავაკვირდეთ თვით ჩვენს ცხოვრებას: სად ვიშარჯ-  
ვებთ ჩვენ? გარეშე პოლიტიკაში, ე. ი. იქ, სადაც საჭიროა  
ხალხის ერთსულოვნობა, ხალხის ინსტინქტი. მაგრამ ჩვენ  
ემარცხდებით შინაურ საქმეებში, სადაც საჭიროა გონიერი

პოლიტიკა: სამართლი მოისპო; მეურნეობა განადგურდა; ინტელლიგენცია შიმშილით დაიხოცა. აი.ეს არის სოციალ-დემოკრატიის პოზიტივური მოქმედების ნაყოფი. დიახ, ჩვენი მმართველი პარტია კარგია, როდესაც ის არ მართავს, მაგრამ უკარგისია, როდესაც ის მართავს.. გარეშე საქმეებში ის პასივურია და სწორედ აქ იმარჯვებს. ქართველი ხალხი, იმარჯვებს ისტორიის წყალობით. შინაურ საქმეებში ტმართველი პარტია აკტივურია, და აი აქ სწორედ ყველაფერი ინგრევა და არაფერი არ შენდება. სანამდის იქნება ასთე? მანამდის, ვიღრე საქართველო გარეშე ხაფრთხეს ქვეშ იმყოფება. იმ დღეს, როდესაც საქართველოს არსებობა უზრუნველ ყოფილი იქნება, მოისპობა პოლიტიკური სიტუაცია სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის სასარგებლოւა ეროვნული გზას უტევს კერძობითს. გაჩაღდება შიგ სოციალური ბრძოლა სხვა და სხვა წრეებ შორის. მასალა ასეთი ბრძოლისათვის მრავალია: ტყვილად ფიქრობენ ზოგიერთები, რომ საქართველო სოციალურად ურთფეროვანია. მებრძოლ მხარეებს კი დასჭირდებათ შერიგება. კლასიურმა და ჯგუფობრივმა უნდა იპოვოს სახელწიფოებრივში შეთანხმება. ეს კი საჭიროდ გახდის ნამდვილ პოლიტიკას და არა მკითხავობას.

მომზადებულია მერე ასეთი პოლიტიკისთვის მმარ-

თვეელი პარტია? ეს დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა მას ქართველი ერის იდეა შეგნებული. ჩემი წერილის მთავარი მიზანია აღმოაჩინოს, რომ ასეთი იდეა არც ერთს ჩვენში გაბატონებულ პარტიებს არ მოეპოვება. მათ შორეული წარმოდგენაც არ აქვთ ჩვენი ერის კულტურულ შინაარსზე.

ამ შინაარსის შესასწავლად მრავალი გზაა. ჩვენ შეგვიძლია, მაგალითათ, შევისწავლოთ ქართული ერის კულტურა მისი იდეოლოგიის თვალსაზრისით. ჩვენ შეგვიძლია ეს კულტურა შევისწავლოთ ეკონომიკური თვალსაზრისითაც. როგორც ეკონომიკა, ისე იდეოლოგია წარმოადგენენ ერთ მთლიან სისტემის ნაწილებს. თუ იცით ერთი ნაწილი სისტემისა, გეცოდინებათ მეორე ნაწილიც. დავა იმის შესახებ რა არის კულტურის prius-suum: ეკონომიკა თუ იდეოლოგია, ემზგავსება დავას იმის შესახებ, რა გააჩნდა უწინ, დედალი თუ მამალი. ვინც ასეთ დავაში მონაწილეობას დებულობს, ამტკიცებს თავის აზროვნების განუვითარებლობას: პროცესი, რომელმაც გააჩინა დედალი, იყო სწორედ ის პროცესი, რომელმაც გააჩინა მამალი. ერთი უმეოროდ ვერ გააჩნდებოდა. კულტურაც არის სისტემა, ეკონომიკა და იდეოლოგია — აუსისტემის ნაწილები. აზრს მოკლებულია ამის გამო საკითხი, სისტემის რომელი ნაწილი გააჩნდა აღრე. სისტემის

თავისებურობაც იმაშია, რომ მის ნაწილების მიზეზობრივი დამოკიდებულობა ექვემდებარება ლოლიკურ ურთიერთობას.

მე მირჩევნია ქართველი ერის კულტურის განხილვა მისი ეკონომიკის თვალსაზრისით. ჩემი წერილის უმთავრესი დანიშნულებაა — კრიტიკა. თანამედროვე ქართულს ლიტერატურაში გაბატონებული თეორია ჩვენი ხალხის ეკონომიკურ ვითარებაზე არ შეეფერება სიმართლეს. ეს თეორია არ არის ქართულ ცხოვრებაზე დაკვირვების ნაყოფი. ის ნასესხებია ისე, როგორც ნასესხებია ბავრი რამ ჩვენს ინტელექტუალურ ცხოვრებაში. ქართველ სინამდვილეს ეს თეორია ვერ გამოხატავს და უფრო მითოლოგიას ემგზავსება, ვიდრე მეცნიერულ კოსტრუქციას.

საჭიროა დავძლიოთ ეს მითოლოგია და თუ თვითონ ვერ შევქნით სწორ თეორიას, ნიადაგი მაინც მოუზადოთ მის აღმოცენებას. სწორედ ამაშია კრიტიკის დადებითი შინაგანელობა: იქ, სადაც უმეცრებაა გაბატონებული ცრუ-ჭიშმარიტების სახით, კრიტიკაშ უნდა აღმოაჩინოს მისი ნამდვილი სახე. თუ ამ წერილმა შესძლო ეს, მისი შიზანაც მიღწეული იქნება.

გარდა კრიტიკულისა, ჩემს ნაშრომს აქვს პოზიტივური ნაწილიც. მას კიდევ სჭირია გადამუშავება. ვაქვეყ-

ნებ ამ ნაწილს შინც, რათა გამოვიწვიო აზრთა გაცვლა-  
გამოცვლა. სხვაფრივ მოქცევა არც არის. მიზან შეწონი-  
ლი: არ შეიძლება მსჯელობის გადადება მანამდეს, ვიდ-  
რე აბსოლუტურად სანდო და აუცილებელ დებულებებს  
ხელთ ვიგდებთ. არის ჩემს შეხედულებებში სადაც დე-  
ბულებები. დავაკ მათ შესახებ სასარგებლო იქნება ჰეშ-  
მარიტების აღმოჩენისათვის. ბრძოლა კი ჰეშმარიტებისა-  
თვის, ლესსინგის არ იყოს, ჩვენ გვირჩევნია თვით დამზა-  
დებულ ჰეშმარიტებაზე.

## 2.

ყოველი მოვლენა საზოგადოებრივ ცხოვრებისა შე-  
იძლება განხილულ იქნეს ორი თვალსაზრისით: ისტო-  
რიულით და სისტემატიურით. ისტორიული თვალსაზ-  
რისით მოვლენა არის ინდივიდუალური ფაქტი, ამ და  
ამ დროს, ამ და ამ განსაკუთრებულ პირობებში აღმოცე-  
ნებული და განუმეორებული. სწორედ იმაშია ისტორი-  
ის დანიშნულება, რომ ის არკვევს მოვლენათა განმას-  
ხვავებელ ან სპეციფიურ თვისებებს. დღეს, როდესაც ის-  
ტორიის მეთოდოლოგია საკმაოდ გამოკვლეულია, დავაჭრ  
აზრის შესახებ, შეუძლებელია.

მამოძრავებული სტიმული საგნის ისტორიული თვალ-  
საზრისით განხილვისა არის ამ საგნის ინდივიდუალური

ლირებულება, რომელიც იშვევს მკვლევარში ინტერესს. ეს არის ინტერესი, დაყრდნობილი მკვლევარის მსოფლ-მხედველობაზე, კერძოდ იმ წარმოდგენაზე, რომელიც აქვს მკვლევარს კულტურის შინაარსზე. ამის გამო სწო-რედ არა ყოველი ფაქტი, რომელსაც ქონია აღგილი მსოფლიოში, შეიძლება გახდეს ისტორიული კვლევის საგნად, არამედ მხოლოდ ისეთი ფაქტი, რომელსაც აქვს ერთგვარი, იქნება ძლიერ შორიც, დამოკიდებულება მკვლევარის სოფლ-მხედველობასთან. ისტორია არის მსოფ-ლიოს განხილვა ლირებულებათა თვალსაზრისით, მიმარ-თული მოვლენათა ინდივიდუალობისა კენ.

სულ სხვა საგნის განხილვა სისტემატიური თვალ-საზრისით. აქ მკვლევარის გონება შიმართულია ზოგა-დისაკენ. ის ეძებს მოვლენებში საზოგადო თვისებებს, რო-მელიც მათ აქვთ საერთო\*).

ერთი და იგივე მოვლენა განხილული ისტორიულად და განხილული სისტემატიურად სულ სხვა და სხვა ცნე-ბათა წყებას მოგვცემს. ისინი ერთ შეორეს არ ეწინააღ-მდეგებიან, მაგრამ მათ შორის არ არის არც თანხმობა.

\*) ამ მუხლში სადაც მიმაჩნია პროფ. შ. ნუცუბიძის აზ-რ., რომელსაც ის ავითარებს თავ ს. საინტერესო წერილში „ბუ-ნებისათვის ცნებისა“. იხ. უნივერსიტეტის მდამბე, სიბრძნის მეტ-ყველების განყოფილება № 1.

სისტემატიზატორი არჩევს საგნის პერიფერიას, სპეცი-  
ფიკატორი წვდება მის ცენტრს.

საზოგადოებრივ მოვლენების სისტემატიური გან-  
ხილვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მკვლე-  
ვარი გარეშე ამ მოვლენებისა დგას. თუკი მკვლევარი  
შიგ მოვლენების სფეროში იმყოფება, სისტემატიზაცია  
შეუძლებელი ხდება. მე არ შემიძლია გულ გრილად  
დავჭრა ჩემი სხეული მისი ანატომიის შესასწავლად. ჩე-  
მი სხეულის ანატომიას მე ვსწავლობ უსულო გვამებზე.  
სწორედ ასე, შეუძლებელია გარედან მსჯელობა საზო-  
გადოებრივ მოვლენაზე, რომლის ერთ შემადგენელ ნა-  
წილს თვით მკვლევარი წარმოიდგენს.

ამით სრულიადაც არ არის ნათქვამი ის, რომ ისტო-  
რიკოსმა უნდა დაინახოს მოვლენაში ყველაფერი, რაც მას  
სურს\*\*). ეს იქნება სუბიეკტივიზმი. მან უნდა დაინახოს  
მხოლოდ ის, რაც არის ფაკტი. ამისათვის მას ცხადია,  
გამოადგება იმის ცოდნა, თუ რა ხდება ამ ფაქტის გარ-  
შემო, ე. ი. გამოადგება საგანთა სისტემატიზაცია. მაგ-  
რამ ვინაიდან ისტორიკოსის მიზანია მოვლენის ინდივი-  
დუალობას შესწავლა, ცოდნა იმისა, თუ რა ხდება სხვა

\*) იხ. ჩემი „Грузія поспѣхъ 1905 года“.

\*\*) ეს იყო ნაკლი რუსული სუბიეკტივისტების ისტორიული  
სკოლისა.

საგნებში, არის მხოლოდ მასალა, რომლისაგან ისტორიკოსი აშენებს თავის საგანს. ამნაირად ისტორიული თვალსაზრისი იქვემდებარებს სისტემატიურ თვალსაზრის და შეიცავს მას, როგორც თავის შემადგენელ ნაწილს.

საზოგადოთ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მკვლევარები არ აქცევდენ ჯეროვან ყურადღებას მეთოდებისინი აგროვებდენ მასალას, თავს უყრიდენ მრავალ ფაქტებს მაგრამ მეცნიერების შექმნა ამ ფაქტებიდან მათ ვერ ძალუდათ, ვინაიდან მათ არ ქონდათ სწორი მეთოდი. ან საიდან ექნებოდათ ეს მეთოდი, როდესაც იმის გაგებაც არ გააჩნდათ, თუ რისთვის არის საჭირო ფაქტების შეგროვება. ხედავდენ, რომ სხვა ქვეყნების მკვლევარები აგროვებენ ფაქტებს, სწერენ წიგნებს, და აი ისინიც-გარეგნული წამბაზველობით შეპყრობილნი, ცდოლობდენ შეეგროვებინათ ფაქტები საქართველოზე. თუ კი საკითხი ფაქტების გამუქებაზე მიღებოდა, ვინაიდან მათ თვალსაზრისი არ გააჩნდათ, ისინი პირდაპირ დაუფიქრელად სესხულობდენ უცხოელების თეორიას. ეს თეორია, შექმნილი უცხო სინამდვილეზე დაკვირებით, არ უდგებოდა ჩვენს ცხოვრებას. მაგრამ მოუმწიფებელი დოქტრინიორობის ზეგავლენით ჩვენი მკვლევარები ამახინჯებდენ სინამდვილის ფაქტებს; იმის მაგივრად რომ გაენათებინათ ფაქტები თეორიის საშუალებით, ისი-

ნი სარგებლობდენ თეორიით ფაქტების დასაბნელებლად  
და დასამახინჯებლად.

ამნაირად დასავლეთ ევროპის ქვეყნების ვითარების  
ისტორიულ თეორიას, რომელიც მშვენივრად გამოიყენა  
კ. მარქსმა, ქართველმა მკვლევარებმა მისცენ სისტემა-  
ტიური ხასიათი. ეს თეორია გვეუბნებოდა, რომ დასავ-  
ლეთ ევროპის, განსაკუთრებით კი ონგლისის, ისტორი-  
ული ვითარების გამო აქ ახალ საუკუნოებში ფეხი მოი-  
კიდა კაპიტალისტურმა წარმოებამ, რომელიც მიაქანებს  
საზოგადოებას სოციალისტურ წარმოებისაკენ. გულუბრ-  
ყვილო ჩვენმა პუბლიცისტებმა იფიქრენ, რომ ეს თეო-  
რია გამოხატავს კაცობრიობის ყველა ნაწილის ვითარე-  
ბას, და ერთ დროს ზულუსებიც, ჰოტტენტტებიც, ჩუ-  
ვაშებიც და სხვებიც გაიჩენენ კაპიტალისტურ მრეწველო-  
ბას და ამ უკანასკნელის საშუალებით მშვიდობიანად  
შევლენ სოციალიზმის სამეფოში. კაცობრიობა წარმოდ-  
გენილი ჰქონდათ მათ, როგორც დიდი უჯრაჟატარ-ჟა-  
რა უჯრედებად დაკაფილი, თათოეული უჯრედი  
ცხოვრობს თავის დამოუკიდებელი ცხოვრებით, და ის,  
რაც ხდება მეზობლურ უჯრედში, პირველს სრულიად  
არ ეხება. ერთი უჯრედი განივლის იმ გზას, რომელიც  
გაიარა მეორე უჯრედმა, ის ფაქტი რომ ამ უჯრედების  
ვითარება სხვა და სხვა დროს იწყება, სრულიად არა

ვითბრ გავლენას არ ახდენს ჩვენი მკვლევარების აზრით, თვით ამ უჯრედების განვითარებაზე. დროს და სივრცეს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ფაქტის წარმოშობაში. რაც ინგლისში მოხდა XVI საუკუნეში, ის მოხდება საქართველოშიც. როდის მოხდება, ეს არის საინტერესო. ოღონდ კი უსათუოდ, „ისტორიული აუცილებლობით“ მოხდება.

აი ძირითადი დებულება, რომელიც, შეგნებულად თუ შეუგნებლად, საფუძვლად უდევს ჩვენი პუბლიკისტების შეხედულებებს. მიუხედავად იმისა, რომ თვით ავტორები თავის თეორიებს მეცნიერულს ეძახდენ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მეცნიერისებური ამ თეორიებში არაფერია. სიმართლეს უფრო შეეფერება, თუ ისინი მითოლოგიას დავუკავშირეთ.

**კაცობრიობა წამოარდენს ერთს მთლიან ხისფერას** აი ეს აზრი უნდა კარგად შევითვისოთ. ის არ არის დიდი უჯრა, პატარ-პატარა უჯრედებად დაყოფილი კაცობრიობის ნაწილები განუწყვეტელ ურთიერთობაში იმყოფებიან დღეს, იყო დრო, როდესაც კაცობრიობის შედარება მართლაც შეიძლებოდა პატარა უჯრედებად დაყოფილ უჯრასთან. ეს იყო ახალ საუკუნეებამდისა როდესაც თითოეული ერი, თითოეული სახელმწიფო და, შეიძლება ითქვას, თითოეული თემიც კი, ცხოვრობდა

დამოუკიდებელი ცხოვრებით. ექროპამ არ იცოდა ის, რაც  
ხდებოდა აშერისაში, თვით აშერიკის არსებობაც უცნო-  
ბი იყო. აზიაშ არ იცოდა ის, რა ხდებოდა ავსტრიალიაში  
და აფრიკაში. თვით ექროპამიც ინდლის შეეძლო ასი  
წლის განმავლობაში ებრძოლა საფრანგეთთან, რუსეთში  
კი ამაზე ამბავიც არ მივიღოდა. სახელწიფოში არ არსე-  
ბობდა ერთი მძლავრი ცენტრი. გასკონიისთვის ინტე-  
რესი მოკლებული იყო ის, რაც ხდებოდა ბურგუნდიაში.  
იმერეთის მეფეს შეეძლო სრულიად აეკრო დადიანების  
სამთავრო, მაგრამ ქინის ერთიანები ამის ვერც კი შეი-  
ტყობდენ. ასეთ პირობებში თითოეული ერთ, შეიძლება  
ითქვას მეტიც, თითოეული თემი, ცხოვრობდა თავის  
თავად და ემორჩილებოდა მხოლოდ თავის შინაგან  
ძალებს.

მას შემდეგ სრულად შეიცვალა კაცობრიობის სახე  
თემებმა დაკარგენ დამოუკიდებლობა და დაემორჩილენ  
ერთს. თვით ერთებმა დაკარგენ კულტურული დამოუკი-  
დებლობა და დაემორჩილენ კაცობრიობას. დღეს კაცო-  
ბრიობის ყველა ნაწილები მჰედროდ არიან დაკავშირე-  
ბული. ის რაც ხდება მაღაკაზე პოულობს გამოძიხილს  
სიდნეში. ლონდონის ბირუაზე უკვე გამორკვეულია,  
რამდენი ბავშვი დაიბადება წელს საქართველოში ან  
რამდენი კაცი მოკლება საფრანგეთში.

აქედან ცხალია, რა ზომაზედ შემცდარი უნდა თყოს  
ის აზრი, რომელიც ფიქრობს, რომ თითოეული ერის  
გვოლუცია ისეთია, როგორც მეორე ერის. ეს შეხედუ-  
ლება არ უწევს თნარიშს დროს და სივრცეს. ის მსჯე-  
ლობს განყენებულიდ და გვოლუციის მთელს მამოძრა-  
ვებელ ძალის ეძებს თითოეული ერის თვისებებში. ასე  
თუ მივუდექით საგანს, მართლაც საქართველოს ვითა-  
რების გზა იმნაირად უნდა წარმოგვიდგენ, როგორც ინ-  
გლისის, ან საფრანგეთის კა. თუ ინგლისი ძალიან  
მდიდარია და მთელი ქვეყნის პატრონია, რად არ უნდა  
საქართველომაც ასეთ სიმდიდრეს მიაღწიოს და შემდეგ  
მთელს ქვეყნას დაეპარჩონოს?

შაგრამ ეს ხმა თკნებაა. სიმართლეს უფრო შეეფე-  
რება, თუ ჩეენ ეროვნული ევოლუციის ხაზი შემდეგი  
ფორმულით გამოვხატეთ: ის არის ორ ძალთა ურთიერ-  
თობის შედეგი. ამ ძალთა შორის თარიღნატის როლის  
ასრულებს თვით ერშო ჩამარხული ძალები (შისი ქვეყნის  
ბუნება, მისი ნიჭი, მისი ისტორიული ტრადიცია და სხვა),  
ამსცისსის როლის კი ასრულებს მთელი კაცობრიობის  
ვითარება. ეროვნული ევოლუცია არის ფუნქცია ეროვ-  
ნული ენერგიის და მის გარშემო არსებულ პირობებისა-  
მაში ეს ევოლუციის გასარყვევად სრულიად არ ადარება.

შინაგან ძალთა შესწავლა, არამედ, საჭიროა ერის რეშეც მიმოხედვა.

ამას ვერ ხვდებოდენ ჩვენი „მეცნიერული“ სოც ლისტები. ისინი კალ მხრივად სინჯავდენ საქართველ ეკონომიურ ევოლიუციას, ე. ბ. მეცნიერელად კი ა სწორედ მეტაფიზიკურად იქცევოდენ. ისინი ამჩნევ ფაქტს, მაგრამ აძლევდენ მას სრულიად უსამართლო ტერპერაციას, რადგან კაცობრიობის ევოლიუცი სწორი წარმოდგენის უქონლობის გამო, მათ არ გა დათ გამოკვლევისათვის საჭირო სწორი მეთოდიც. მე ღის გარეშე კი მეცნიერება არ არსებობს.

### 3.

როდესაც ზევით ჩვენს სოციალისტებზე ვამბობ მხედველობაში მყავდა უმთავრესათ ნოე ჟორდანია არჩილ ჯორჯაძე. როგორ აქვთ მათ წორმოდგენ ქართველი ერის ეკონომიური ევოლიუცია?

როგორც ჟორდანია, ისთე ჯორჯაძეც ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განსამარტავად მიმართ თანამედროვე დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის ნილ ეკონომიურ თეორიებს. მათის აზრით ევოლიუციართველი ერისა იწარმოებს იმ ეკონომიური გზით, გზითაც წარმოებდა ევოლიუცია დასავლეთ ევრ

ერგბისა. აშაში როგორც უორდანია, ისთე ჯორჯაძე სა—  
ვსებით ეთანხმებიან ერთმანეთს.

როგორც მარქსის მოძღვრების მიმდევარს, რომელ—  
საც სწამს აუცილებლობა ისტორიული კანონისა, ბ.  
უორდანიას კითხვაც არ ებადება. იმის შესახებ, წავა თუ  
არა საქართველო იმ ეკონომიკური განვითარების გზით,  
რომელიც განვლენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა. არჩილ  
ჯორჯაძე კი, როგორც მოწაფე რუსეთის სოციალიტებისა,  
იცნობს საკითხს ეროვნული განვითარების თავისებუ—  
რობის შესახებ. მაგრამ როდესაც ასეთი კითხვა იზადება  
ქართველი ერის შესახებ, ის ენერგიულად უკუაგდებს  
მას ან და სწყვეტს უარყოფითად. „ხშირად“, ამბობს არ—  
ჩილ ჯორჯაძე, „ჩვენ ერთმანეთს არ ვეთანხმებით ხალ—  
ხის ეკონომიკურ წარმატების ახსნის დროს, მომეტებულად  
იმ მიზეზის გამო, რომ ამა თუ იმ მოვლენათა და—  
ფასებაში რუტინით და დოქტრინით ვხელმძღვანელობთ.  
ეს რუტინა რწმენაა, ვითომ ქართველ ერს რაღაც  
განსაკუთრებული თვისება ჰქონდეს“.\*)

როგორც სჩანს აქვდან, ჯორჯაძეს არ სწამს გან—  
საკუთრებული გზა ქართველი ერის ეკონომიკური ვითა—  
რებისა. რწმენა ასეთ გზაზედ მას მიაჩნია რუტინად და  
შეცდომების წინაშე მუხლის მოდრეკად. რამდენადაც

\*.) არჩილ ჯორჯაძე—თხზულებანი, ტ. IV, გვ. 4.

მართალია ასეთი აზრი, ამას დავინახავთ შემდეგ. ეხლა  
კი განვაგრძოთ ჩვენი პუბლიცისტების ეკონომიური  
შეხედულების გარკვევა.

თუ ჩვენი ერის ეკონომიური ევოლუციის გზა  
იგივეა, რაც დასავლეთი ევროპის ქვეყნებისა, მაშინ,  
უეჭველია, ჩვენც უნდა გამოვსცადოთ ის, რაც გამოს-  
ცადა დასავლეთმა ევროპამ. აქ იბადება საკითხი: რა  
გზაა ეს?

ამ გზის ძირითადი მიშართულების განსაზღვრაშიც  
ბ. ჯორჯაძე და ქორდანია ეთანხმებიან ერთმანეთს. პირ-  
ველიც და მეორეც ეყრდნობიან თითქმის ერთ და იგივე  
ავტორიტეტს, პირველიც და მეორეც სცდილობენ ამ  
ავტორიტეტით განმტკიცებულ შაბლონში მოათავსონ.  
ქართული სინამდვილე, რადაც არ უნდა დაჯდეს ეს.  
ამ დროს ისინი იმაზედაც არ სწუხან, რომ ასეთი ნა-  
ძალადევი საშუალებით სინამდვილის ახსნა შეუძლებე-  
ლია.

ორივენი, უორდანიაც და ჯორჯაძეც, ერთნაირად  
გამოსთქვამენ იმ აზრს, რომ ქართველი ერის ევოლუცია  
მიდის ინდუსტრიის გაძლიერებისაკენ და სოფლის  
მეურნეობის ეკონომიური მნიშვნელობის შემცირებისა-  
კენ. როგორც უორდანია, ისთე ჯორჯაძეც აღნიშნავენ,  
რომ სოფელი თანდარან ტარიელდება და ქართველი

ხალხი გროვდება ქალაქებში, აი ისთე როგორც ეს  
ხდებოდა ერთ დროს ინგლისში, საფრანგეთში და გერ-  
მანიაში \*)

მიზეზი ამ მოვლენისა არის შრომის განაწილება,  
რომელიც დაკავშირებულია ნატურალურ მეურნეობიდან  
ფულით წარმოებულ მეურნეობაში გადასვლასთან. თუ  
უწინ სოფელი წარმოადგენდა მთლიან ეკონომიკურ ერ-  
თეულს, რომელიც თვითონ აკმაყოფილებდა თავის  
მოთხოვნილებას შინაური საშუალებით და სრულიად არ  
საჭიროებდა ამისათვის გარედან შემოტანილ საქონელს—  
დღეს პირობები შეიცვალა. სოფლის კარჩაკეტილობა  
მოისპო, უცხო საქონელი შეიჭრა სოფელში და ამან  
შესცვალა ძირიანად სოფლის ცხოვრება. თუ უწინ სო-  
ფელი იძულებული იყო ყველა თავისი მოთხოვნილება  
შინაური საშუალებით დაექმაყოფილებინა, დღეს მას  
შეუძლია მთელი თავისი ენერგია ერთს დარგს მეურ-  
ნეობისას მოანდომოს და ამით ძირინოს თავი. უწინ  
სოფელი შუშაობდა თავისთვის, დღეს კა ის მუშაობს  
ბაზრისათვის. აი ის ცელილება, რომელიც უორდანიას  
და ჯორჯაძის აზრით მიზეზია სოფლის დაცალიერებით  
სა. ვაჭრობის გაჩაღების გამო ადამიანს შეუძლია მო-  
სცილდეს მიწას და ქალაქშიდაც მონახოს საშუალება

\*) ის, ნ უორდანია—რჩეული ნაწერები, 41—42 გ.

თავის სარჩენად ეს საშუალება არის ხელობა, ვაჭრობა მრეწველობა. ამ პროცესს სოფლის დაცალიერებისას და ქალაქის გაძლიერებისას თანდათან უფრო ფართო ხასიათი მიეცება. აი სწორედ ისთვის როგორც ეს მოხდუ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში: საქართველო მიღის თან-დათან ინდუსტრიალიზაციისაკენ.

უკანასკნელი მოვლენა კი იწვევს საზოგადოებრივ კლასების დიფფერენციაციას. ქალაქებში ჩნდება ორი კათეგორია მოქალაქეთა: ერთი არის საწარმოვო იარა-ღის მესაკუთრენი, კაპიტალისტები. მეორენი არიან სა-კუთრებას მოკლებული პროლეტარები, რომელთაც არა აბადიათ-რა, გარდა თავის შრომის უნარისა. პირველნი ე. ი. კაპიტალისტები, სარგებლობენ პროლეტარები უმწეო მდგომარეობით, აძლევენ მათ ისეთ ქირას, რომ მელიც არ აღმატება საცხოვრებლად საჭირო ხარჯს; ხოლო ამუშავებენ ბევრად უფრო ზედმეტად თავიანთ ქარხნებში და ამნაირად კიდევ უფრო მდიდრდებიან მუშა კაცის ოფლით, ვიდრე სოციალისტური რევოლუცია არ უწევს და არ მოსპობს ამას.—ასეთია მეტად გამარტივებული კონცეპცია საქართველოს ეკონომიკური ცხოვრებისა, კონცეპცია, რომელსაც ერთნაირად იზიარებენ ჯორჯაძეები და უორდანიაც. მაგრამ მათ შორის არის ერთი განსხვავებაც, რომელიც ლირსია აღნიშვნის

ბ უორდანია ფიქტობს, რომ კაპიტალიზაციის პრო-  
ცესი სწარმოებს როგორც ქალაქში, ისთვის სოფელში-  
ცაც. ჯორჯაძე კი ხაზს უსვამს, რომ სოფლის მეურნეო-  
ისათვის ის ფორმულა კაპიტალის კონცენტრაციას,  
ამშელიც ასე თუ ისე მისაღებია ქალაქის ეკონომიკური  
ცოლიუციის აღსანიშნავად, არ არის მართალი. აქ პირ-  
ქით ჩვენ ვხედავთ კაპიტალის დეცენტრალიზაციას,  
მტკიცებს ჯორჯაძე; და მოყავს მრავალი მაგალითი  
ანგლიის მიწათ მფლობელობის ისტორიიდან.

მაგრამ ეს წინააღმდეგობა დეტალებში სრულიად  
რ უშლის ჯორჯაძეს აღიაროს უორდანიასთან ერთად  
ომ „ჩვენშიაც სოფელი უნდა დაცარიელდეს—მეტი  
ლემენტი თანდათან გადის ქალაქებში“ \*).

„საქართველო აღრე თუ გვიან“, სწერს ჯორჯაძე:  
ვერ ასცდება კაპიტალისტურ პროცესს და აგრეთვე ამ  
შრაცესის შედეგს, ე. ი. შრომის და კაპიტალის წი-  
რალმდეგობის მოსპობას. ის გარემოება რომ ჩვენში ჯერ  
ჟიდევ არ არიან მკაფიოდ განკერძოვებულნი კლასები  
(პროლეტარიატი და ბურჟუაზია), რომ ჩვენი მრეწვე-  
ლობა ჯერ განუვითარებელია, რომ საქართველოს ზო-  
გიერთ კუთხეში ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობაა—  
ყოსელივე ეს შეუძლებელია ჩაითვალოს. იმის საბუთად,

\* ) არჩ. ჯორჯაძე — თხზულებები, ტ. IV, გვ. 105.

რომ საქართველო ერთხელაც არის მჩეწველობის გზა  
არ დაადგეს. ეს ფაქტები მხოლოდ ამას მოწმობენ, რომ  
ჩვენ ცოტა გვიან დავადგებით ამ გზას... ჩვენი ქვეყანა  
ვერ ასცდება კაპიტალისტურ პროცესს... ჩვენი სოფლის  
ნატურალური მეურნეობა თანდათან ადგილს უთმობს  
ფულით წარმოებულ მეურნეობას“ \*).

ამ ამონაშერიდან სჩანს, თუ როგორ ჰქონდა წარ-  
მოდგენილი ჯორჯაძეს საქართველოს ეკონომიური ევო-  
ლუცია. არსებითად ამ შეხედულებაში არავითარ გან-  
სხვავებას არ ვპოულობთ უორდანის შეხედულებისაგან.  
ჯორჯაძემ მხოლოდ მეტი სისასტიკე გამოიჩინა თავის  
აზრის გასავითარებლად. ყოველი ერი, ჯორჯაძის აზ-  
რით, არის მთლიანი ორგანიზმი. ორგანიზმის კეთილ-  
დღეობა კი მოითხოვს რომ მას ჰქონდეს ყველა მისი  
მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ორგანოები ჯე-  
როვანად განვითარებული ინდუსტრია არის ერთი უმ-  
თავრესი ორგანო ერისა. მაშასადამე ყოველ ერს უნდა  
ჰქონდეს საკმაოდ განვითარებული მჩეწველობა, რო-  
მელსაც შეეძლება ერის მოთხოვნილებათა დაკმაყოფი-  
ლება. ასეთი მჩეწველობის უქონლობა მაჩვენებელია  
ეროვნული სისუსტისა. ამიტომაც ერი უნდა სცდილობ-

\*) ib., გვ. 2.

დეს, რადაც უნდა დაუჯდეს, გაიჩინოს თავის მრეწველობა.

„თანამედროვე ცხოვრებაში“, სწერს ჯორჯაძე, „აუცილებლად საჭიროა რომ ჩვენს დაქვეითებულ ერს თავისი საკუთარი ორგანოები ჰქონდეს ცველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის“ (\*).

მაშ თუ ერის ინტერესები მოითხოვენ მრეწველობის განვითარებას, ქართველმა ხალხმა, რომლის ინდუსტრია ფდიად განუვითარებელია, უნდა მიმართოს უკიდურესს ზომებს, რათა ხელი შეუწყოს ქართულ ინდუსტრიის ზრდას.

ამისათვის ქართველმა ერმა არ უნდა დაიხიოს მფარველობითი სისტემის წინაშედაც. „ჩვენი ეკონომიური პროგრამმის დედა აზრი საქართველოს ეკონომიური გაერთიანება უნდა იყოს“, ამბობს ჯორჯაძე: „და ამ გაერთიანებისათვის საჭიროა მტკიცე მფარველობითი სისტემის გზას დავადგეთ. ჩვენს ვაჭრობას, მრეწველობას და მეურნეობას მფარველობა უნდა აღმოვცუჩინოთ, ვი-

\*) ტომი IV, გვ. 11. ჯორჯაძეს ამ შემთხვევაში სავსებით ეთანხმებოდა ერთ დროს ავტორი „ერი და კაცობრიობისა“, რომელსაც ერი წარმოდგენილი ჰყავდა, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზმი. იხ, ამაზე ა. ჯ.-ის „ეროვნული შემოქმედება.“

ნაიდან ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის საჭიროა ეკონომიური მონობიდან განთავისუფლება<sup>\*)</sup> ა). აქ სიტყვა მეურნეობა ზედმეტად არის ნახმარი, რადგანაც ერთ და იმავე დროს სოფლის მეურნეობისათვის და ინდუსტრიისათვის მფარველობის გაწევა წარმოადგენელია. თუ მივიღეთ მხედველობაში ის კონტექსტი, რომელშიდაც არის ჩაქსოვილი უკანასკნელი წინადადება, ცხადია რომ ჯორჯაძე აქ მხოლოდ გულისხმობდა მფარველობას ინდუსტრიისათვის.

ჩემის აზრით ბ. უორდანია არ გაყვებოდა ჯორჯაძეს იმ საკითხის გადაწყვეტაში, საჭიროა თუ არა ქართულს ინტუსტრიას გაეწიოს მფარველობა, თუმცა ზოგი ადგილი უორდანიას ნაწერებისა ძლიერ ჩამოგავს ჯორჯაძის აზრს. მაგრამ ზოგადი ხაზი მსჯელობისა, როგორც ჯორჯაძის, ისთე უორდანიასი არ განირჩევიან ერთმეორისაგან.

ყველაფერი რაც ითქვა ზევით ჯორჯაძის და ქორდანიას შეხედულებებზედ ქართველი ერის ეკონომიური ევოლუციის შესახებ, შეიძლება მოკლედ ამოვწუროთ შემდეგ დებულებებში.

1. ქართველი ერი არის ან უკიდურეს შემთხვევა-

ში, თუ არ არის, უნდა იყოს დამოუკიდებლად პრე-  
ბული არგანიზმი.

2. ამ არგანიზმის განვითარება იმ ტიპის იქნება  
ან უკიდურეს შემთხვევაში უნდა იყოს, რა ტიპის იყო  
განვითარება. დასავლეთ ევროპის ერებისა, მაგალითად  
ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის.

3. როგორც დასახელებულ დასავლეთ ევროპის  
ერების ისე საქართველოს ეკონომიური ეფოლიუცია მი-  
მართულია სოფლის მეურნეობიდან საქართველო მრეწვე-  
ლობისაკენ.

4. შედეგად ინდუსტრიალიზაციის და ფულით წარ-  
მოებულ მეურნეობას \*) მოკვება კაპიტალის კონცენ-  
ტრაცია და პროლეტარიზაცია და ბოლოს სოციალისტური  
რევოლუციია.

ი მოკლედ ის ეკონომიური თეორია, რომელსაც  
იცავდენ დასელები და მათი ოპონენტები. ეს თეორია  
არ არის მათ მიერ შეთხხული. ის არ არის ხაყოფი  
პირადი დაკვირვებისა. მართალია, ჩვენ ვერ ვუარყოფთ  
იმას, რომ ეს თეორია მწყობრად არის აგებული, მაგრა

\*) ფულით წარმოებული მეურნეობა და კაპიტალისტური  
მეურნეობა ჯორჯაძე' და ყორდანიას სინონიმებად. მიაჩნდათ,  
რაც სრულიად არ შეეფერება ჰემარიტებას, როგორც ამას და-  
ვინახავთ ქვევით.

ძნელია შინაგანი წინააღმდეგობის აღმოჩენა. მაგრამ შინაგანი წინააღმდეგობიდან თავისუფლება არ შეიძლება ჩაითვალოს კიდევ საკმაო ნიშნად თეორიის სიმართლისა. ლოლიკური შინაგანი თანხმობა მხოლოდ უარყოფითი პირობაა ჭეშმარიტებისათვის. დადებით კრიტერიუმს კი იძლევა სინამდვილე. ამისათვის ჩვენ უნდა სინთეტიური კრიტიკის ქვეშ გავატაროთ ჩვენი პუბლიცისტების შეხედულება ქართველი ერის ეკონომიურ განვითარებაზე. ამისათვის ჩვენ უნდა შევაფასოთ ეს შეხედულება შემდეგი თვალსაზრისით: შეეფერება თუ არა სინამდვილეს ის, რაც გამოსთქვეს ბ. ჟორდანიამ და არჩილ ჯორჯაძემ საქართველოს ეკონომიურ ეკოლიურიაზედ?

ამნაირად გაშუქებული ეკონომიური შეხედულება ჩვენი დასელებისა და მათი მოწინააღმდეგე ჯგუფისა, რომელმაც შემდეგ მიიღო სოციალისტ-ფედერალისტების სახელი, არ საჭიროებს ხანგრძლივ კრიტიკას. ამ შეხედულების შეუფერებლობა სინამდვილესთან თითქმის აშკარაა.

ჯერ მივაჭურადლება პირველ დებულებას, რომელიც ამბობს რომ ქართველი ერი არის ან უკიდურეს შემთხვევაში უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი ორგანიზმი და ამისათვის მას უნდა ჰქონდეს ყველა ორ-

განო თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ეს დებულება მიუღებელია

ერი ემპერიულად არის მხოლოდ ერის შემადგენლობა. ამ შემადგენლობის შესამცნებლად კაცი ხშირად პიმართავს ექსკურსებს უკვე წარსულის სფეროში ან გაიწევს ხანდისხან შორეულ მომავლისაკენაც, მაგრამ ამ გაწევ-გამოწევის დროს მას არ ავიწყდება, რომ შუღაძი ძულებულია დაუბრუნდეს აწმყოს. ამ აწმყოში არის საფუძველი ერის არსებობისა, მისი იდეის განსამარტავი წყარო. წარსული და მომავალი იმ ზომაზედ მისაღებია მოსაზრებებში, რამდენადაც ეს ნაოელს ჰუნის წინ დებულ სინამდვილეს.

თუ ერი ორგანიზმია, ის არის ორგანიზმი მხოლოდ იღეაში. თუ ერი ორგანიზმია, ის ხდება ორგანიზმად მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან დაასრულა თავისი განვითარება და შესწყვიტა არსებობა. ცოცხალი ერი კი არ არის ჩვენი გონიერისთვის ორგანიზმი, ცოცხალი ერი მხოლოდ კრებულია პიროვნებათა, რომელთაც ეკუთვნის რეალობა. ქართველი ერი ჯერ კიდევ ცოცხლობს, ქართული ენა ჯერ კიდევ გაისმის. ჩვენ არ შეგვიძლია ამიტომაც უწოდოთ ობიექტიურად ამ ერს რეალური ორგანიზმი. მისი ორგანიზმობა მოცემულია მხოლოდ პოტენციაში, რეალობა კი ეკუთვნის დღეს მხოლოდ მის

შემადგენლობას. სხვანაირად მსჯელობა იქნებოდა იდეის გაიპოსტასება.

ეს მოსაზრება განყენებული ხასიათისაა. მაგრამ მას უუღიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. იდეალისტ ტური შემეცნება ერისა აბრკოლებს თვით ამ ერის იდეის განხორციელებას. ცხოვრება მიღის მექანიკური მიზეზობრივობის ზეგავლენის ქვეშ. ლოლიკა მოითხოვს რომ თვით ამ ცხოვრების შიდა ტალღებში მოვექცეთ და ვსწიოთ წინ სინამდვილე, რომელიც აღრე თუ გვიან თვითონ მივა თავის დანიშნულებასთან. იდეალისტი კი პირიქით განზედ უდგება ცხოვრებას, განყენებული აზროვნების საშუალებით არკვევს ამ ცხოვრების მიმართულებას, სკდილობს ჩასწვდეს ამ მიმართულების მიზანს და შემდეგ ძალით მოახვიოს მიზნის ფორმა წინდებულ სინამდვილეს. ის ვერ ამჩნევს, რომ ასეთი ნაძალადევნა აქტით არამც თუ არ უწყობს ხელს მიზნის განხორციელებას, იმ შემთხვევაშიდაც, თუ მას სწორედ აქვს შეგნებული ეს მიზანი. პირიქით ის აკნინებს ცხოვრებას და აშორებს მას მიზანს. არ ეს არ ესმით ჩვენს უტოვისტებს, როდესაც ისინი ამტკიცებენ ერის და ორგანიზმის იგივეობას (\*).

\*) ყოველმხრივ საინტერესო წიგნი ა. ჯ—ის „ნოოვნული შემოქმედება“, სცოდავს სწორედ ამაში, მას ისე როგორც ჯოზ.

ერის შედარება ორგანიზმთან ან საზოგადოთ ხმა-  
რება ბიოლოგიური ტერმინებისა ეროვნული ვითარების  
აღსანიშნავად, ეგ უბრალო მეტაფორაა და არა ჭეშმა-  
რიტება.

სულ სხვაა რეალისტის პოზიცია. თუ შისი მოწი-  
ნააღმდეგე განყენებულ იდეას სწირავს ფაკტიურ ინტე-  
რესებს, მას ასეთი მეთოდი მიუღებლად მიაჩნია. მისი  
აზრით თვით იდეა უნდა შეიქმნეს ფაქტების მასალაზე  
დაყრდნობით. რეალობა ეკუთვნის პიროვნებას, ერი კი  
არის ემპირიულ ცხოვრებაში მხოლოდ საშუალება პი-  
როვნების განმტკიცებისათვის, თუმცა ნუმენალურად,  
შეიძლება, ეგ დამოკიდებულება შეცვლილი იყოს უკუ-  
ლმა. ამისდა მიხედვით ეროვნული იდეა რეალისტური  
შემეცნებით არ არის კერპი, რომელსაც უნდა შეეწი-  
როს მსხვერპლად რეალური პიროვნება. პირიქით უკა-  
ნასქნელი ემპერიულად მიზანია, პირველი კი მხოლოდ  
საშუალება. შეხედულება, რომელიც უარყოფს ამას,  
რომელიც მოითხოვს რათა ერი ვალიაროთ უზენაეს  
პრინციპათ ჩვენი მოქმედებისა იმ შემთხვევაშიდაც, თუ  
ჯაძესაც, ერი წარმოდგენილი აქვს, როგორც ორგანიზმი, და  
ბერებსონის გაფლენის ქვეშ „elan vital“-ს, რომელიც ბოლოს და  
ბოლოს მეტაფიზიკური კათეგორია არის. ას ანიჭებს გადაჭარბე-  
ბულ მნიშვნელობას ევფლიუციის ახსნაში.

ეს პირინციპი არღვევს პიროვნების ინტერესებს, ჩვენ უნდა გაბედულად უკუვაგლოთ. ასეთია ერთად ურთი გზა ნამდვილი დემოკრატიზმისა, რომელიც არ იხრის ქედი არავითარ ილლუზიების წინაშე. ილლუზიონიზმი მაჩვენებელია უბადრუკი მსოფლმხედველობისა, რომელსაც აღარ მოეპოვება საღი აზრი არსებობისათვის. ადრე თუ გვიან თვით ცხოვრება დაგმობს მას. დღეს ჩვენ ისეთ ხანაში ვიმყოფებით, რომ არავის არ შეუძლია დაამყაროს ხანგრძლივი იმედები ილლუზიების გავლენაზე.

სწორედ ილლუზიონიზმად უნდა ჩავთვალოთ ჩვენ ეროვნული იდეისათვის აბსოლუტური მნიშვნელობის მინიჭება გარეშე პიროვნების რეალური ინტერესებისა. ჩვენ ვერ ვაქცევთ ერს გობის ლევიათანად, რომელსაც უნდა შეეწიროს ერის უმრავლესობა. ასეთი ქცევა იქნება გულწრფელობას მოკლებული, ვინაიდან რა არის ერი, თუ არა მისი შემადგენლობა \*). ან დემოკრატიზმი,

\* ) ეს სიკრიტიკი ღირსია ცალკე გამოკვლევისა. აქ კი გაუგებრობის ასაცდენად საჭიროა გავარჩიოთ ემპერიული და ნუმენალური რეალობა. ემპერიული რეალობა ეკუთვნის პიროვნებას, ნუმენალური—ერს. ნუმენალური რეალობა საფუძვლად უდებს ქმედრიულს, როგორც მისი იდეა, მაგრამ აღამიანი მას ჟრ სწვდებ დი იძულებულია დაკმაყოფილდეს ემპერიით. ცდას მოწმვეტილ ადამიანი უძლური ხდება და აბრკოლებს ნუმენს განამდვილებას.

რომელიც სინონიმია რეალიზმისა, ან მიუფუჩეჩება ერის  
 რეალური ინტერესების და ეროვნული იდეის გამოყე-  
 ნება ერის უმცირესობის სასარგებლოდ: ამ ორ გზას  
 შეუ არ არის მესამე. ამ საკითხს დიდი ყურადღება უნ-  
 და მიექცეს დღეს, ვინაიდან ამისათვის საბუთები მრა-  
 ვალია. დღევანდელ დღემდის ჩვენი ეროვნული იდეა-  
 იყო შარტივი, რადგანაც შელახული იყო ქართველი-  
 ერის უუწმინდესი ფფლება: ერს არ ჰქონდა პოლიტი-  
 კური ფორმა დამოუკიდებლად არსებობისა. ამ მოვლენამ,  
 პოლიტიკურმა უუფლებობამ, შექმნა ისეთი: მდგომა-  
 რეობა, რომ სხვა და სხვა სოციალურ ჯგუფის წინააღ-  
 მდეგობა დაჩრდილული იყო დიდი უბედურების, პო-  
 ლიტიკური დამონავების შეგნებით. ეხლა კი პირობები  
 იცვლება; ერმა შოიპოვა დამოუკიდებლობა. თანდათან  
 აშეარავდება ის, რაც უწინ დამალული იყო: ეს არი-  
 სუთანხმოება ჩვენი ერის სხვა და სხვა ჯგუფის ინტერე-  
 სებს შორის. თუ რევოლუციამდე შეიძლებოდა იმის  
 თქმა, რომ ჩვენი ერის ფარგლებში რეალურ შინაარსს  
 მოკლებულია ყოველგვარი პარტიული უთანხმოება, დღეს  
 ეს აღარ ითქმის უკვე. დღეს, პირიქით, თანდათან  
 ვრწმუნდებით, რომ ქართულ ეროვნულ იდეასაც შეიძ-  
 ლება ორგვარი. ინტერპრეტაცია მიეცეს: ერთი რეაქ-  
 ციონული, მეორე პროგრესიული. რეაქციონულია ის

ინტერპრეტაცია, რომელიც ცრუ-იდეალისტურ საფუ-  
ქელში ექვებს ეროვნული ორსებობის გამართლებას. ეს  
ის გზაა, რომელსაც ჩვენ უსათუოდ ზურგი უნდა შევაჭ-  
ციოთ, თუ ჩვენ გვსურს დემოკრატიული პოზიცია შე-  
ვინარჩუნოთ. ეს პოზიცია ეწინააღმდეგება იმას, რომ  
ეროვნული იდეა გამოყენებული იქნეს ერის უმრავლე-  
სობის საექსპლოატაციო საშუალებათ. მაგალითები ეროვ-  
ნული იდეის ჩვეულების ინტერპრეტაციისა იმდენია.  
სხვა ერების ისტორიაში, რომ დღეს ვერავინ აუხვევს  
თვალს ქართველ ერს. დღეს ძნელი არ არის იმის გა-  
გება, რომ შეცდომა ის შეხედულება, თითქო ერის  
ბედნიერება დემოკრატიის ინტერესების შელახვით მოი-  
პოვება. ამას ფიქრობდენ ერთ დროს.. მაგრამ დღვან-  
დელ პირობებში ამ აზრს არ ეყოლება მიმდევრები. პირ-  
იქით ქართველი ერის ძლიერება ქართველი ხალხის კე-  
თილდღეობაზედ შეიძლება აგებული იქნეს. და აი ამია-  
ტომაც, ვინც ღალატობს უკანასკნელს, სამარეს უთხრის  
პირველსაც \*).

\*) ეროვნული სიმდიდრის და ხალხის კეთილდღეობის და-  
პირისპირება, რომელიც ასე უცვართ რუსეთის სოციალისტებს,  
მისაღებია მხოლოდ ვიწრო ფარგლებში. ფართე მასშტაბი რომ  
ავიღოთ, ერი, რომლის შემადგენლობა გაჭირვებულ ცხოვრებაში  
ატარებს თავის დღეს, მუდა? მარტხდება არსებობისათვის ბრძო-

ზემოთქმული ჩვენ შეგვიძლია შეშდევ მარტივ ფორმულაში ჩამოვაყალიბოთ: ემპერიული ერი ჩვენის აზ-რით არის მისი რეალური შემადგენლობა, რომელიც გარეშე მას არაგითარი პოზიტივური მნიშვნელობა არა აქვს: ერი არ არის ორგანიზმი უმპერიალულ რეალობაში.

მაგრამ მივიღოთ დროებით, ჩვენი მოწინააღმდეგებისათვის სასარგებლოდ, რომ ერი ორგანიზმია. რა გამომდინარეობს მერე აქედან? გამომდინარეობს ერის ორგანიზმობიდან ის, რომ მას უნდა ჰქონდეს მრავალი ორგანოები? ბიოლოგია 'არ გვაძლევს საბუთს' ასეთი დასკვნისათვის. ორგანიზმის ევოლუცია გამოწვეულია ორგანიზმის. მოთხოვნილებების ზედგავლენით, და იმისდა მიხედვით, როგორია ერთის მხრით ეს მოთხოვნილებები, მეორეს მხრით კი გარეშე პირობები, რომელშიდაც ორგანიზმს უძღება ცხოვრება, ორგანიული ევოლუცია ხან მიდის ორგანოების გართულებისაკენ, ხან კი ზოგი ორგანოების რელუქციისაკენ. ორგანიზმი იძულებული ხდება პირობების თანახმად ხან გაიჩინოს ახალი ორგანო არსებობისათვის ლაში. ფუჭია იმაზე ოცნებობა, რომ ერის ძლიერებას ჰქმნის ხალხის უხედურება. საკვირველია, რომ ჯორჯაძე სწორედ ამ შემდგრალ აზრს იზიარებდა.

საბრძოლველად, ხან კი პირიქით შეზღუდოს რომელიმე სრულიად არა-საჭირო ორგანოს გავითარება და მთელი თავის სასიცოცხლო ენერგია მოანდომოს დანარჩენ ორგანოების გავითარებას. ორგანიზმის ევოლუცია მრმარ-თულია მარტივიდან რთულისაკენ, როგორც ამას აღნიშნავდა ჰერბერტ სპენსერი. მაგრამ ეს იმნაირად არ უნდა გავიგოთ თითქო ამა და ამ კონკრეტიულ ორგანიზმს უნდა გაუჩინდეს უსათუოდ ყოველგვარი ორგანო, რომელიც საზოგადოდ შესაძლებელია ორგანიზმისათვის. აჩსებობისათვის ბრძოლა მოითხოვს ორგანოების სპე-ციალიზაციას, რასაც ორგანიზმი მართლაც ანხორციე-ლებს თავის სახის ევოლუციის პროცესში. ეს მარტივი რამ არის. ამაზედ დავა შეუძლებელია.

დავუბრუნდეთ ეხლა კვლავ ჩვენს საკითხს. ქართვე-ლი ერთ დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ურთეულიც რომ იყოს, ეს სრულიად არ მოწმობს იმის აუცილებელ საჭიროებაზე, რომ მას ჰქონდეს კველა ორგანოები თა-ფისი მოთხოვნილების დამოუკიდებლად დასაქმაყოფილე-ბლად. ასეთი საჭიროება აღმოჩნდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ ქართველი ერთ სრულიად განცალკე-ვებული ერთეული ყოფილიყო, რომ მას არავითარო კავშირი არ ქონებოდა მთელს კაცობრიობასთან.

მაგრამ ეს ასთე არ არის სინამდვილეში. ქართველი

ერი კაცობრიობის ნაწილია და მისი ევოლიუცია როგორც ეკონომიური, ისთვის პოლიტიკური, მორალური და სხვა გვარი განისაზღვრება მისი დამოკიდებულებით მთელს კაცობრიობასთან. რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ფოებრივი ფარგლები გვიშლიდა აქამდის ამის შეგნებას. მაგრამ დღეს ეს ფარგლები აღარ არსებობდენ და ამიტომაც გვიაღვილება შეგნება იმისა, რომ საქართველოს ბეჭი არის უმთავრესად პროექცია კაცობრიობის ვითარებისა. მოწყვეტილად სხვა ქვეყნების გავითარებიდან შეუძლებელია ქართველი ერის ევოლიუციის შემცნება.

რადგანაც ქართველი ერი არ არის განცალკევე-ვებული და სხვა ქვეყნებს მოწყვეტილი ერთეული, სრულიად ზედმეტია მისთვის ზრუნვა ყველა თავის მოთხოვნილების დამოუკიდებლად დაკმაყოფილებაზედ თავის ორგანოების საშუალებით. შრომის განაწილების ფარგლები ქართველი ერისათვის არ არის შეზღუდული მისი ტერიტორიით. დღეს ეს განაწილება შრომისა ხდება მთელი კაცობრიობის მასშტაბით. კარჩაკეტილობა არამა-თუ ასეთი პატარა სახელმწიფოსი, როგორიც არის საქართველო, არამედ უზარმაზარი პოლიტიკური ერთეულებისაც ისპობა. მსოფლიო მიდის გაერთიანებისაკენ, და ასეთ დროს ზრუნვა იმაზედ, რომ ქართველ ერს გაუჩნდეს ყველა ორგანო მისი მოთხოვნილების დაკმა-

ვოფილებისითვის, უნდა ძლიერ დაგვიანებულ მოვლენათ ჩაითვალოს.

ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რამდენად არ არის მართალი პირველი თეზისი ჩვენი პუბლიცისტებისა და ამ თეზისის შედეგი, რომ ქართველი ერი როგორც დამოუკიდებელი ორგანიზმი იძულებულია მაქსიმუმამდე გაამრავლოს თავის ორგანოები. ორგანიზმის ევოლუცია მიღის არა ახალი ორგანოების გაჩენისაკენ, არამედ უკვე არსებული ორგანოს გართულებისაკენ და მისი პოტენციის გაღრმავებისაკენ.

გავსინჯოთ ეხლა სწორია თუ არა სხვა, თეზისები, წამოყენებული ჩვენი პუბლიცისტების მიერ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ქართველი ერის ეკონომიკური ევოლუცია იმ ტიპისაა, როგორც ევოლუცია დასავლეთ ევროპის ქვეყნების, ე. ი. რომ ჩვენს ერს აუცილებლად მოელის კაპიტალიზმი და მასი შედეგები: პროლეტარიზაცია, კაპიტალების კონცენტრაცია, კლასთა ბრძოლა და შემდეგ კი კერძო საკუთრების სრული გაუქმებაც.

გავსინჯოთ ეს თეზისი ორი თვალსაზრისით: 1. შესაძლებელი არის თუ არა მატერიალურად, ობიექტივური პირობების მიხედვით, საქართველოსათვის ასეთი ფორმის ეკონომიკური ევოლუცია. 2. საჭიროა თუ არა ასეთი ევოლუცია. ორივე თვალსაზრისი სრულ უფლე-

ბიანია. აუცილებლობა და იდეალი არ უნდა იყოს გა-  
თიშულად განხილული, როგორც ამას ვხედავთ პლეხა-  
ნოვისებურ მარქსიზმის უკიდურესს თეორიულ მატე-  
რიალიზმში, ან ჩვენი ფელერალისტების უკიდურესს  
თეორიულ იდეალიზმში. რომ აუცილობლობა ყოველ-  
თვის ეწინააღმდეგებოდეს საჭიროების, გონიერი სიცო-  
ცხლე შეუძლებელი იქნებოდა. მეორეს მხრით, გონიერი  
სიცოცხლე შეუძლებელი იქნებოდა მაშინაც, რომ იდეალს  
არ სჭიროდეს მატერიალურ ფორმაში ჩამოსხმა. პირველი  
შეხედულებას მივყევართ უღირს კვიეტიზმამდის; მეორე  
შეხედულებას კი არა-ბუნებრივ რიგორიზმამდე. რეალიზ-  
მი აერთებს ამისათვის საკითხს აუცილებლობაზედ იდეა-  
ლის საკითხთან.

როგორც პირველი, ისთე მეორე თვალსაზრისი ჩვე-  
ნი ერის ეკონომიკურ ევოლუციის. შესახებ მოითხოვს  
ფრიად რთულს არგუმენტაციას. ამ არგუმენტების ამო-  
წურვა ამ მოკლე წერილში შეუძლებელია. აქ მხოლოდ  
შეგვიძლია აღვნიშნოთ ზოგადი ხაზები ჩვენი შეხედუ-  
ლებისა.

ჯერ შევჩერდეთ პირველ თვალსაზრისზედ. რაზედ  
ემყარებიან ჩვენი პუბლიცისტები, როდესაც ისინი ამ-  
ტკიცებენ, რომ საჭართველო ვერ ასცილდება დასავლეთ  
ევროპის ტიპის კაპიტალიზმს? მათი არგუმენტები, მოკ-

ლედ რომ გავიხსენოთ, არის შემდეგი: 1. საზოგადოებ-  
რივი პროგრესის მოითხოვს შრომის დანაწილებას, რაღ-  
განაც შრომის დანაწილება არის საშუალება საწარმოვო  
ძალების გავითარებისა. 2. შრომის განაწილების გავი-  
თარება ძველს პატრიარქალურ მეურნეობას არღვევს და  
ამყარებს ფულით წარმოებულ მეურნეობას. 3. შედეგად  
ამას თან ჰყვება ის, რომ სოფელი ცარიელდება თანდა-  
თან და ხალხი თავს იყრის ქალაქში, სადაც ჩაღდება  
შრეწველობა. ჩნდება ორი კათეგორია მოქალაქეთა: ერ-  
თი — ფულებიანი კაპიტალისტები, მეორე — უფულო პრო-  
ლეტარები.

ეს არგუმენტაცია ჩვენი პუბლიკისტებისა პოლი-  
ტიკურ-ეკონომიკურ ცნებათა ნამდვილ არევ-დარევას  
შეიცავს. აქ სიტყვები აღებულია არა-მეცნიერული მნი-  
შვნელობით. პირველი მუხლი, რომელიც ამბობს შრომის  
განაწილებაზედ, როგორც საშუალებაზედ საწარმოვო  
ძალების განვითარებისათვის, სწორია. მართლაც საზო-  
გადოებრივი პროგრესის მიმართულია შრომის განაწი-  
ლებისაკენ, რადგანაც ეს განაწილება აუცილობელი ჭი-  
რობაა ბუნებაზედ ადამიანის გავლენის გასაძლიერებლად.  
ამ მხრივ შრომის განაწილება არის არა მარტო სოციო-  
ლოგიური, არამედ ბიოლოგიური კანონიც, რომლის  
მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო

ღრმავდება, ის მიმართულება, რომელიც უპირისპირებს ორგანიულ და სოციალურ პროგრესს, როგორც მოწინააღმდეგე მიმართულების მოვლენებს და რომლის მამამთავარი რუსეთში იყო მიხაილოვსკი, ვერ იპოვის რეალისტში თანამოაზრებს.

მართალია მეორე მუხლიც, რომ შრომის განაწილება არღვევს კარჩაკეტილ წესწყობილებას პატრიარქალურ საზოგადოებისა და შემოაქვს ვაჭრობაზედ აგებული წესწყობილება. ეს ლოდიკურად გამომდინარეობს ადამიანის ბუნების მოთხოვნილებათა სირთულიდან და შრომის დაყოფვის პრინციპიდან.

მაგრამ როდესაც მეორე მუხლიდან მესამეზედ გადავდივართ, აქ ჩვენ ვამჩნევთ ლოლიკურ ნახტომს. განასაჭიროა შრომის განაწილებისათვის და ვაჭრული წესწყობილებისათვის, რომ სოფელი დაცარიელდეს, როგორც ამაზედ გველაპარაკება მესამე მუხლი? ამას არ მოითხოვს სრულიად ვაჭრობაზედ აგებული წესწყობილება. მართალია აღებ-მიცემობა მოითხოვს სავაჭრო ცენტრების გაჩენას, სადაც ხვდებიან ერთ-მეორეს საქონლის მყიდველი და გამყიდველი. მაგრამ ასეთი ცენტრების გაჩენა შეიძლება არა სოფლის დაცალიერებით, როგორც ფიქრობდენ ნ. უორდანია და ა. ჯორჯაძე, არა-შედ სოფლის მცხოვრებთა სწრაფი გამრავლებით და იქ-

დან გამოყოფით ზედმეტი, სოფლისათვის არა-საჭირო, ხალხისა, რომელიც თავს იყრის ქალაქში. სოფელი არამა თუ არ ცარიელდება თანდათან, პირიქით მისი მოსახლეობა ნორმაზედ მეტად მრავლდება და ზედმეტ მოსახლეობას ქალაქებს აძლევს. აი პროცესი, რომელსაც ადგილი აქვს სინამდვილეში

შრომის განაწილება, როგორც საშუალება ხალხის საწარმოვო ძალთა გასავითარებლად, ამდიდრებს ხალხს და იწვევს მასში სწრაფ გამრავლებას, რადგანაც გამრავლება დამოკიდებულია ხალხის მატერიალური უზრუნველყოფობიდან. ამიტომ ხალხი მრავლდება არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფელშიდაც. ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი ამ შემთხვევაში მეტი სისწრაფით მიიწვევს წინ, ვიდრე სოფელში, მაგრამ მიზეზი ამისა არის არა დაცარიელება სოფლისა, როგორც ფიქრობენ ჩვენი პუბლიცისტები, არამედ ის რომ ქალაქი იზრდება, როგორც შიგნიდან, მოქალაქეთა გამრავლების ბუნებრივი პროცესით, აგრეთვე გარედანაც — სოფლიდან შემოსულ ხალხით. ეს ცხადზედ უცხადესია, და თუ ჩვენმა პუბლიცისტებმა ვერ შენიშნეს ეს და ქალაქის გაზრდა სოფლის დაცარიელებას მიაწერეს, ისინი მსჯელობდენ არა ჩვენი ცხოვრების, არამედ უცხო ქვეყნების დაკვირვების მიხედვით. მართლაც, ინგლისში, მაგალითად, კა-

პიტალიზმის დაფუძნების ხანაში დიდალი ხალხი გა-  
მოიქცა სოფლიდან და მოიყარა თავი ქალაქებში. სო-  
ფელი დაცარიელდა, ქალაქები გაივსო, მაგრამ ეს და-  
ცარიელება იყო შედეგი ხელოვნური პოლიტიკისა, რო-  
მელიც მიმართული იყო სოფლის გლეხობის ძალით გა-  
ნადგურებისაკენ.

რად ანადგურებდენ ინგლისის გაბატონებული წრე-  
ები სოფელს, ჩვენ კარგად ვიცით ამ ქვეყნის ისტორიი-  
დან. ამ განადგურების პროცესში ერთ მეორეს შეხვდენ  
და ძმურად დაკავშირდენ მიწის მფლობელი არისტოკრა-  
ტია და ახლად გამოჩეკილი მსხვილი ბურჟუაზია: მიწის  
მფლობელ ლორდებმა საზარალოდ დაინახეს თავის მი-  
წაზე გლეხების ყოლა, ვინაიდან ტექსტილური მრეწვე-  
ლობის ძძლავრმა განვითარებამ მოითხოვა ბევრი მატყლი.  
მატყლის ფასმა ამის გამო ძლიერ აიწია მაღლა. ამას მოჰყვა-  
ის, რომ მიწის მესაკუთრემ მიწის მოქმედობაზე უფრო  
ხელსაყრელიდ დაინახა ცხვრის ფარის მოშენება. ამ საქმეს  
კი უფრო მცირე მუშა ხელი სჭირია, ვიდრე ინტენსიურ  
მეურნეობას. თუ უწინ მიწას, რომელიც მიწის მოქმედობით  
იყო დაკავებული, თავის ლირებულების გასამართლებლად  
სჭიროდა მუშა ხელი ათასობით, დღეს იმავე მიწამ, რო-  
დესაც ცხვრის მოშენება ხელსაყრელი შეიქნა, მოინდობა  
თავისი საზოგადოებრივი ლირებულების გასამართლებლად

შხოლოდ ათიოდე მუშა. აქედან აუცილებელი შეიქნა  
დანარჩენი 990 კაცის მიწიდან განდევნა, როგორც  
უსარგებლო მეტ-ხორცის. ლორდებმაც ადრე შეიგნეს ქა-  
უბრალო აზრი.

გარდა ლორდებისა ახალ ქარხნების პატრონებმაც  
თავისთვის სასარგებლოთ დაინახეს ისეთი ხალხის გაჩენა,  
რომელიც, მოკლებული ყოველივე საკუთრებას, დასთან-  
ხმდებოდა იაფ ფასში თავის შრომის გაყიდვას. ამნაირად  
მიწის მესაკუთრე არისტოკრატიამ და ადვილი მოგების  
მოტრფიალე ბურჟუაზიამ დააცარიელა ინგლისის სოფე-  
ლი. არც ერთს ამ მიზეზს ადგილი არ ჭევს საქართვე-  
ლოში. გაშ რისთვის უნდა დაცარიელდეს ქართული  
სოფელი?

კიდევ უფრო ნაკლებად დასაბუთებულია მსხვილი  
მრეწველობის აღმოცენების აუცილებლობა საქართველოს  
ქალაქებში. თუ ჩვენი ქალაქები გაჩნდენ როგორც სავაჭ-  
რო ცენტრები, რასაც ჩვენი პუბლიცისტები აღიარებენ  
ერთხმად, ცხადია აქედან შხოლოდ ის, რომ ქალაქში  
ფეხს იკიდებს ვაჭართა კლასისი. აქედან კი ქალაქების  
სამრეწველო ცენტრებად გადაქცევამდის კიდევ შორის. ამ  
გადაქცევის აუცილებლობას, ე. ი. ქალაქებში მრეწვე-  
ლობის აღმოცენებას სჭირია სრულიად ახალი დახაბუ-  
თება. იმ ფაქტიდან რომ საქართველოში გაჩნდენ ქა-

ლაქები, არ გამომდინარეობს, რომ ეს ქალაქები უნდა შეიქნენ მრეწველობის ცენტრად, არ გამომდინარეობს ისიც, რომ საქართველოში საზოგადოთ მოიკიდებს ფეხს მსხვილი მრეწველობა.

ცნება ქალაქისა სრულიად არ შეიცავს მრეწველობის ცნებას. შეიძლება ქალაქი სრულიად მოკლებული იყოს თავის მრეწველობას, როგორც მიაქცია ამას ყურადღება ედუარდ მეიერმა. საშუალო საუკუნოების ქალაქი განიჩევა ანტიურ ქალაქიდან, ეს უკანასკნელი კი განიჩევა როგორც თანამედროვე დასავლეთ ევროპის, ისე აზიის ქალაქებიდან. ქალაქი ძველს აღმოსავლეთში და ნაწილობრივ ძველს საქართველოშიც იყო მხოლოდ ციხე, სადაც შეაფარებდენ ხოლმე თავს მტრის შემოსევის დროს ახლო-მახლო მდებარე სოფლების მცხოვრებნი. ამნაირად ცნება „ქალაქი“ გულისხმობს ბევრს რასმე, მაგრამ მასში ჩვენ ამაოდ ვეძებდეთ იქნება მრეწველობის ცნებას. მრეწველობა თვისებაა ქალაქების მხოლოდ განსაკუთრებულ ჯგუფისა. ამნაირად, ვინც ფიქრობს რომ საქართველო მრეწველობის ასპარეზად ხდება, მისთვის არ არის საკმაო განისაზღვროს იმის აღნიშვნით, რომ საქართველოში ქალაქები გაჩნდენ. მან უნდა კიდევ დაამტკიცოს, რომ ეს ქალაქები მრეწველობის ცენტრებია. ნაქალაქევიც ქალაქი იყო ერთ

დროს, მაგრამ იქ ქარხნები არ ყოფილია. მაში, ჩვენი პუბლიცისტების თეორიაში აქ ჩვენ ვამჩნევთ ლოლიკურ ნახტომს, ე. ი. გამოთქმულს მაგრამ დაუსაბუთებელ აზრს \*).

ის რომ დასავლეთ ევროპის ქალაქები შეიქნენ მსხვილი მრეწველობის ცენტრად, არ შეიძლება ჩაითვალოს იმის საბუთად, რომ ჩვენმა ქალაქებმაც ასეთივე ხასიათი უნდა მიიღონ, ვინაიდან ყოველი განვითარება ხდება იმ-მანენ ტური ძალების ზე გავლენით. ევროპიელი ქალაქის გავითარება — ეს ერთი მოვლენაა, ჩვენი ქალაქის გავითარება — ეს მეორე მოვლენაა. პირველს ამოძრავებს მისი შინაგანი ძალები, როგორც მეორესაც. ამიტომ როცა ჩვენი ქალაქის ევოლუციაზედ ვლაპარაკობთ, ჩვენ უნდა მიუთითოთ ჩვენი ცხოვრების ძალებს და არა დასავლეთ ევროპის ქალაქის გავითარებას.

აი სწორედ აქ აშკარავდება ჩვენი პუბლიციურის მეთოდოლოგიური შეცდომა, რომელზედაც ზევით იყო ლაპარაკი. იმ სწორ დებულებას რომ ევროპიელი ქალაქი შეიქმნა მსხვილი მრეწველობის ცენტრიდ, ჩვენი პუბლიცი-

\*) სამწუხაროდ, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ქართული აზ-როვნებისთვის. მრავიცება ჩვენთვის უცხოა, და სიცურას მეტს უურადღებას ვაჭურეთ, გიდრე აზრს. ამას უნდა ერიდოს ახალი თაობა. ლამაზ ფრანგების შემთხველს მან უნდა გარევეულად მოსთხოვოს: „proba“ (დამტკიცე).

სტები უპირდაპირებენ მეორეს, აგრეთვე სწორ დებულებას, რომ საქართველოშიდაც გაჩნდა ქალაქი, მაგრამ აქედან არავითარი დასკვნის გამოყვანა არ შეიძლება; რადგან ცნება „ქალაქი“ პირველსა და მეორე დებულებაში აღებულია სხვა და სხვა მნიშვნელობით. რომ დასკვნა შესაძლებელი იყოს აქედან, პირველ დებულებას უნდა მიეცეს საზოგადო ხასიათი: უნდა აღიარებულო იქნეს, რომ ყოველი ქალაქი ხდება მრეწველობის ცენტრად. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ემპირიულ დებულებას მივცემდით აბსოლუტურ ხასიათს, რაც ეწინააღმდეგება აზროვნების სისწორეს.

ამნაირად, მე ვფიქრობ, დამტკიცებულია ის, რომ ჩვენი პუბლიცისტების შეხედულება ქალაქის გავითარებაზე არ არის დასაბუთებული. მაგრამ ეს არ კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ ეს შეხედულობა არ არის სწორი. შეიძლება ადამიანმა ველაზ შესძლო ჰეშმარიტების დასაბუთება სხვა და სხვა ემპერიულ მიზეზების გამო. მაგრამ ეს არ გვაძლევს ჩვენ უფლებას უკუვაგოთ თვით ჰეშმარიტება.

გავსინჯოთ ამისათვის ჩვენი პუბლიცისტების მიერ წამოყენებული დებულება მატერიალურადაც, ე. ი. მისი შინაარსის მხრივ.

ჩვენი ქალაქის მსხვილი სამრეწველო ცენტრად გადა-

ქცევა ჰგულისხმობს პირველად ყოვლისა უფრო ზოგად დებულებას: ჩვენ სამშობლოში ასეთ მრეწველობის აღმო-  
ცენებას და გავითარებას. ამისათვის შეიძლება ჩვენს გან-  
ხილვას მიეცეს უფრო ფართო ხასიათი და იმის მაგივრად  
რომ გამოვიძიოთ, ხდება თუ არა საქართველოს ქალაქებ-  
ში მრეწველობის დაფუძნება, გავარკვიოთ, რამდენად აუ-  
ცილებელია საზოგადოდ საქართველოში მრეწველობის  
გავითარება.

როგორც დავინახეთ, ნ. ქორდანია და ა. ჯორჯაძე  
ეთანხმებიან ერთმანეთს ამ საკითხში. მათთვის საქართ-  
ველოს მრეწველობის გზაზედ დადგომა არავითარ ეჭვს  
არ იწვევს.

მაგრამ, რისთვის უნდა საქართველო დაადგეს ამ  
გზაზედ? თუმცალა ეს პირდაპირ ბუნებრივი საკითხია,  
მაგრამ ნ. ქორდანია ამაზედ არავითარ პასუხს არ იძ-  
ლევა გარდა იმისა, რომ დასავლეთ ევროპაში მრეწველობამ  
ფეხი მოიკიდათ. რაც შეეხება ა. ჯორჯაძეს, ის  
ცდილობს დაასაბუთოს ეს აზრი იმით, რომ ერთ ორგა-  
ნიზმია, და როგორც ორგანიზმს, მას უნდა ჰქონდეს  
ყოველი ორგანო თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფი-  
ლებლადო.

მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რამდენად შეეფერება სი-  
მართლეს აზრი, რომ ერთ ორგანიზმია.

მიუხედავად ამისა, ერი ორგანიზმიც რომ იყოს და  
მას უსათუოდ ესაჭიროებოდეს სასიცოცხლოდ რომელი-  
მე ორგანო, ეს საკმაო საბუთია მხოლოდ იმისათვის,  
რომ ერის ინტერესით გამსჭვალულმა პირებმა იზრუნონ-  
ამ ორგანოზე. მაგრამ ეს არ კმარა იმის დასამტკიციებ-  
ლად, რომ ეს ზრუნვა გამოიღებს ნაყოფს და ერს მართ-  
ლაც გაუჩნდება სასურველი ორგანო. შესძლებელია,  
რომ ერი სრულიად მოკვდეს, იმისათვის, რომ მან ვერ  
გაიჩინა მის საცხოვრებლად საჭირო საშუალება.

ამ მოსაზრებას არ უწევდა საკმაო ანგარიშს ა.  
ჯორჯაძე. ეს კი დიდი შეცდომაა. ერთია საკითხი, რა  
ესაჭიროება ერს, მეორეა საკითხი, რა გზით ვითარდება  
ერი. ერთია იდეალი, მეორეა სინამდვილე. ეს თუ კა-  
თეგორია ერთ მეორეს იშვიათად ეთანხმება. ამის დასა-  
მტკიცებელ მაგალითებს უხვად იძლევა კაცობრიობის  
ისტორია. რამდენი ერი მოისპონ იმის გამო, რომ მან ვერ  
შესძლო თავის განვითარების მოთხოვნილების დაკმაყო-  
ფილება? სად არის ძველი ეგვიპტე, ან ბაბილონი, ან  
ფინიკია? ყველა ეს ერები შთანთქა არარაობის უფ-  
სკრულმა, ვინაიდან მათ ვერ შესძლენ მოეპოვებინათ  
საღსარი, რომელიც განახორციელებდა. მათ წიალიდან  
აღმოცენებულ იდეალს. რა საბუთი გვაქვს, რომ ქარ-  
თველ ერზე სხვანაირად ვიზროვნოთ? მართალია, ჩვენ

უნდა ლრმად გვწამდეს ჩვენი ერის მომავალი. შაგრამ რწმენას გაშუქება სჭირია გონების სინათლით. რწმენა უნდა შევუფარდოთ სინამდვილეს და აქედან გამოვ-სტყორცნოთ ჩვენი მოქმედების გეგმა. წინააღმდეგ შემ-თხვევაში რწმენა ბრმა ძალათ რჩება, მას გასავალი ეკარ-გება და ის შეიძლება უამთა განმავლობაში სრულიად გაპქრეს. მაშ ყველა, ვინც ფიქრობს, რომ ქართველი ერის შესაძლებელი ევოლუციის წარმოდგენა ჩვენ მხო-ლოდ ჩვენს სურვილებში, ჩვენს რწმენაში უნდა ვეძიოთ, ხელს უწყობს თვით ამ რწმენის გაქრობას. უკიდურესი იდეალიზმი თავის შედეგით არ განირჩევა მატერიალის-ტურ კვიეტიზმიდან.

სწავ საბუთს საქართველოში მრეწველობის აღმოცე-ნების სასარგებლოთ, ა+ ჯორჯაძის თხზულებებში ვერ ვხედავთ. აქედან ცხადია, რომ ეს დებულებაც დაუზტკი-ცებელი ყოფილა.

გინვისილოთ ეხლა ეს საკითხი სხვა მხრივაც. მიუ-ხედავად იმისა, თუ როგორ ასაბუთებენ ჩვენი პუბლი-ცისტები საქართველოში მრეწველობის აღმოცენების აუ-ცილებლობას, გავსინჯოთ ეს საკითხი თავის თავად.

შეიძლებოდა აქაც შეჩერება. ჩემი მთავარი მიზანია ჯერ-  
ჯერობით დავამტკიცო სრული ფუქსავატობა იმ შეხედუ-  
ლებების, რომელიც გაბატონებულია ჩვენს საზოგადოე-  
ბაში. ამ კრიტიკულ ნაწილში მე თითოეულ სიტყვას  
უცვლელად ვიცავ: თანამედროვე შეხედულებები საქარ-  
თველოს ეკონომიკურ ევოლიუციაზე სრულიად არ არის  
დასაბუთებული.

მაგრამ ინტერესს არ არის მოკლებული, მე ვფიქ-  
რობ, დანარჩენი მოსაზრებებიც, რომლებსაც, ცხადია,  
მეტი დასაბუთება სჭირია, ვიდრე ეს მოცუმულია ამ წე-  
რილში

ჯერ-ჯერობით ქართული ინდუსტრიის ასპარეზი  
ძლიერ მცირეა. ინდუსტრიის პროდუქტები საქართვე-  
ლოში შემოდის გარეშე ქვეყნებიდან. როგორია. ჩვენი  
ერის პერსპექტივები ინდუსტრიალურ გავითირების სფე-  
როში, გავითარდება თუ არა ჩვენში მრეწველობა, და თუ  
გავითარდება, რა ფარგლებში — ან რა პირობების ქვეშ?

ამ კითხვების გადაჭრა ძლიერ უადვილდებოდათ ჩვენს  
პუბლიცისტებს, რადგანაც ისინი ხელმძღვანელობდნენ და-  
სავლეთ ეროვნიელი ქვეყნებისათვის შემუშავებული შაბ-  
ლონით. მაგრამ ის, რომ ინგლისში, ან გერმანიაში  
მრეწველობა ძალზედ გავითარდა, სრულიად არ მოწ-  
მობს იმაზედ, რომ საქართველოსაც ასეთი ბედი მოედის.

ამით მე მინდა მხოლოდ აღვნიშნო, რომ საქართველოში არ მოქმედობენ ის ისტორიული მიზეზები, რომ ლებმაც ხელი შეუწყვეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მრეწველობის აყვავებას.

რა იყო ეს მიზეზები, ამაზელ დაწერილია მრავალი გამოკვლევა. აქ მივუთითოთ მოკლედ იმ ფაქტებზე, რომ ლებიც საინტერესოა ჩვენი მიზნისათვის.

ამ ფაქტებს შორის პირველად დავასახელოთ ის, რომ დასავლეთ ევროპის მრეწველობას არ ჰყავდა მძლავრი კონკურენტი. მრეწველობას კონკურენციას უწევდა პატრიარქალული ფორმა მეურნეობისა, რომელსაც ვერ შესწევდა სათანადო ძალა, რათა შეეჩერებინა მრეწველობის გავითარება. ამ რიგად შინაური პირობები ცხოვრებისა არამც თუ არ უშლიდენ, პირ-იქით ხელსაც უწყობდენ ევროპიელ მრეწველობის აყვავებას, იმიტომ რომ ეს აყვავება იყო მოთხოვნილება საწარმოვო ძალების გავითარებისა.

გარდა ამისა არც სახელმწიფოს გარედან ხვდებოდა დასავლეთ ქვეყნების მრეწველობას დამაბრკოლებელი მიზეზები. პირველად გამოსულმა სამრეწველო ასპარეზზედ ევროპამ დაინახა, რომ მთელი კაცობრიობა პატრიარქალურ მეთრნეობის ფორმით იყო მოცული, რომელიც ხელს უწყობდა მრეწველობის გაშლას, რადგანაც

აძლევდა მას ფართო ბაზარს ფაბრიკატების გასასაღებლად. იქ კი, სადაც რომელიმე ჩამორჩენილი მრეწველობა ხვდებოდა მეტოქეს მეორე ქვეყნის უკვე მომწიფებულსა და გამაგრებულს მრეწველობაში, სახელმწიფოებრივი აპპარატი წინ ეგებებოდა მრეწველობის ინტერესებს და უწევდა მას მძლავრს მფარველობას.

ასეთი მფარველობის ქვეშ გაიზარდა საფრანგეთის მრეწველობა, რომელიც სხვა და სხვა ისტორიულ მიზეზების გამო უფრო ნელის ნაბიჯით ვითარდებოდა, ვიდრე ინგლისის მრეწველობა. რა იქნებოდა საფრანგეთის მრეწველობა, რომ მას არ ყოლოდა კოლბერი? კოლბერის პროტექციონისტულმა სისტემამ გაუმაგრა ზურგი ფრანგულ ინდუსტრიას, როგორც შინაურსა, ისთვის გარეულ ბაზარზედ.

ასეთსავე მოვლენას ვხედავთ ჩვენ გერმანიაშიც, სადაც მრეწველობამ კიდევ უფრო გვიან იწყო გავითარება, ვიდრე საფრანგეთში. მთელი რიგი პროტექციონისტული ზომებისა დასჭირდა გერმანიას, რათა გაემაგრებინა თავისი მარეწველობა. ამნაირადვე იქცევოდენ რუსეთი, ავსტრია, იტალია და სხვა სახელმწიფოები.

ჩვენ ვიცით კარგად, თუ ვისი ხარჯით უწევდა სახელმწიფო ასეთ მფარველობას მრეწველობის ინტერესებს. არად უნდა აგრე შორს ვეძიოთ საქსონიის მანუფაქტუ-

რის აყვავების მიზეზები", წამოიძახა ერთხელ მირაბომ: „ას ოთხმოცი მილლიონი სახელმწიფო ვალი გვიხსნის ამას სავსებითად".<sup>1)</sup>

პროტეკციონისტული სისტემა იყო აგებული დემო-კრატიის ინტერესების შელახვაზედ. იქ, სადაც შინაური შემოსავალი სახელმწიფოსი აღარ სწვდებოდა პროტეკციონისტულ სისტემის გატარებას, სახელმწიფოები მიმართავდნ სესხს. აი ამით აიხსნება სხვათა შორის ზრდა სახელმწიფოებრივი ვალისა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში **XVIII** და **XIX** საუკუნოებში. სახელმწიფოებრივი ვალი აწვებოდა ყველა მოქალაქეს თანასწორად, - მოგვ-ბას კი ამ ვალიდან ხედავდენ მხოლოდ მრეწველები ასე-თი პოლიტიკა შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც პო-ლიტიკური ფორმები ძლიერ დაშორებული არიან დემო-კრატიზმს, სადაც ხალხს უფლება არა იქვს გავლენა პქნ-დეს სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებაზედ. სწორედ არა-დემოკრატიული იყო პოლიტიკური წესწყობილება საფრანგეთისა კოლბერის დროს, ისე როგორც გერმანელ სახელმწიფოებში **XIX** საუკუნის პირველ ნახევარში.

სხვა მიზეზიც მრეწველობის აყვავებისა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში იყო აგრეთვე ისტორიული ხასიათის.

<sup>1)</sup> რუსული გამოცემა მარქსის „კაპიტალი“-ს ტ. I გვ. 145.

მივაჭუროთ აქ ყურადღება მხოლოდ შემდეგს. დასავლეთ  
ევროპის მრეწველობა აღმოცენდა საშუალო საუკუნეე-  
ბის ქალაქური მეურნეობის ნაშთზედ, და აი ამას დიდი  
მნიშვნელობა ჰქონდა მის გავითარებისათვის. ქალაქის  
ცენტრში თავის ხანგრძლივ ისტორიაში გამოსჭედენ ისე-  
თი თვისებები ადამიანის პიროვნებაში, რომლების გარე-  
შე წარმოუდგენელია თანამედროვე საქართველოს წარმოება.  
ქალაქის ცენტრში შეზღუდეს ადამიანის პიროვნება და აქ-  
ციეს ის თითქმის მანქანად, საზოგადოებრივი სისტემისა-  
თვის საჭირო ვინტად. ასეთმა პირობებმა დაბადა ადა-  
მიანის ფსიქიკაში ისეთი თვისებები, რომლებიც ადვილად  
შეეგუენ ქართვისათვის საჭირო პასივობას. საშუალო სა-  
უკუნების ცენტრში მოსპეს ინდივიდუალობა პიროვნები-  
სა და ამით მოამზადენ ნიადაგი, მხევილი მრეწველობი-  
სათვის საჭირო.

ამ ისტორიულ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს. მას  
არ უწევენ ხშირად ანგარიშს. ფიქტობენ, რომ ადამიანს  
ამოძრავებს მხოლოდ სურვილი არსებობის შენარჩუნები-  
სა. მაგრამ ეს არ არის მართალი. ადამიანი ხელმძღვანე-  
ლობს უფრო რთული მოთხოვნილებებით. მას სურს არა  
მხოლოდ იარსებოს, არამედ იარსებოს ღირსეულად. ადა-  
მიანი ძლიერ ძნელად სთმობს თავის ჩვეულებებს და ხან-  
დისხან არჩევს. სრულიად შესწყვიტოს სიცოცხლე, ვიდ-

რე იცოცხლოს არა-ღირსეულად, არა ისთე, როგორც  
მას მიაჩნია საუკეთესოდ. კორრექტიფი, რომელიც აერ-  
თებს არსებობისათვის ბრძოლას ღირსებისათვის ბრძო-  
ლასთან, არის გამრავლების წესი. ეს წესი არის სწორედ  
დამახასიათებელი თვისება ადამიანის ბუნებისა. ადამიანი  
არ არის მონა ვნებისა, გონება აძლევს მას საშუალებას  
მისცეს ვნებას ფორმა და ხანდისხან სრულიადაც მოსპოს  
ის. ამით განირჩევა ადამიანი პირუტყვისაგან, ამით გა-  
ნირჩევა აგრეთვე საზოგადოებრივი ეფოლიუციის მამოძ  
რავებელი ძალა ბიოლოგიური ეფოლიუციის ძალები-  
დან. საქართველოში ჯერ არავის გაუწევია ანგარიში აშ  
მოვლენისათვის ჩვენი ეკონომიური განვითარების ასახ-  
სნელად. მაგრამ მისი მნიშვნელობა უაღრესია.

ამისათვის სწორედ, როდესაც საზოგადოებრივი  
ეფოლიუციის საკითხი წყდება, უნდა მივიღოთ მხედვე-  
ლობაში არა მხოლოდ არითმეტიკული გამოანგარიშება  
სიკეთის ჯამისა, არამედ ამ სიკეთის. ბუნებაც. სოცია-  
ლური მოვლენის შეფასება პირთხოვს როგორც მისს  
კვანტიფიკაციას, აგრეთვე მისს კვალიფიკაციასაც, რად-  
განაც ადამიანის ბუნება, რომელზედაც არის სწორედ  
აეგბული საზოგადოებრივი კხოვრება, შეიცავს ორმაგო-  
ბას ვნებისა და გონებისა, კონსერვატიულ ჩვეულებისა  
და პროგრესიულ ინიციატივისა.

როდესაც ჩვენი პუბლიცისტები საქართველოს ეკონომიკურ ევოლუციის შესახებ მსჯელობენ, ისინი გამოსთქვა-  
მენ ამ ევოლუციაზედ ისეთ აზრებს, თითქმ ისტორიუ-  
ლი პროცესის ხდებოდეს გარეშე ადამიანის პიროვნები-  
სა, ან უკეთ რომ ცსთქვათ, აღამიანის პიროვნება იყოს  
ყოველ მხრივ განსაზღვრული ფაქტი, რომელიც უდრის  
მეორე ამ გვარისავე ფაქტს. ჩვენ ვერ დავეთანხმებით  
ასეთ შეხედულებას, რადგანაც ეს შეხედულება ეწინააღ-  
მდეგება სინამდვილეს.

შევჩერდეთ მხოლოდ ზემოყვანილ ორ მიზეზზედ,  
რომელთა მნიშვნელობა დასავლეთ ევროპის მრეწველო-  
ბის აყვავებისათვის უკილობელ ისტორიულ ფაქტს წარ-  
მოადგენს.

დავხელოთ ეხლა ჩვენს ცხოვრებას. მოგვეპოება თუ  
არა ის პირობები, რომლებმაც შეუწყვეს ხელი დასავ-  
ლეთ ევროპის მრეწველობის აყვავებას? დაკვირვება გვი-  
ჩვენებს, რომ არც პირველს, არც მეორე მიზეზს აღარ  
აქვს ადგილი საქართველოს ცხოვრებაში. თუ დასავლეთ  
ევროპული მრეწველობა გავითარდა მძლავრი კონკურენ-  
ციის გარეშე, ქართულ მრეწველობას უხვდება ბრძოლა  
უკეთ ზედმიწევნით განვითარებულ დასავლეთ ევროპის  
მრეწველობასთან.. მსოფლიო ბაზარი ქართველ მრეწველს  
უკვე დაპყრობილი დაუხვდა. არ არის არც ერთი კუთ-

ხე, სადაც დასავლეთ ევროპის შრეწველობას არ გაუბავს თავის ქსელი. შეუძლებელია ეხლა ვინმეს გამოგლიჯო ბატონობა მის ბაზარზედ.

რალ შორს წავიდეთ? უუსაშინელესი ომი, რომელსაც კაცობრიობამ ჯერაც ვერ უყო ლიკვიდაცია; გამოწვეული არ არის განა იმით, რომ შევიწროებულმა გერმანიამ შეეცადა მოეპოვებინა ახალი ასპარეზი თავის შრეწველობის გასაშლელად და გამოეგლიჯა მსოფლიო ბაზარი ინგლისის მონოპოლიისათვის. მაგრამ ვერ რას გახდა. რომ გერმანელებს, რომელთა ნიჭი, შრომის უნარი, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე არავისთვის არ არის საეჭვო, შესძლებოდათ კონკურენციის ნორმალური პროცესით შეეზლუდათ ინგლისელების ჰეგემონია მსოფლიო ბაზარზე, განა ისინი მიმართავდენ ომს? რა თქმა უნდა არა, რადგანაც ომი მოითხოვს მსხვერპლს, რომელსაც კულტოროსანი სახელმწიფო მუდამ ანგარიშს უწევს.

მაშ, მსოფლიო ბაზარი ქართულ შრეწველობას უკვე დაპყრობილი დაუხვდა. ამ ბაზრიდან თავის მოპირდაპირების გაძევების იმედი იქნებოდა სინამდვილეს მოწყვეტილი ოცნება. ქართველი ვერ დაამარცხებს მსოფლიო ბაზრის კონკურენციაში ევროპიელ შრეწველს ვერ დაამარცხებს იმიტომ, რომ მის მოწინააღმდეგეს აქვს მოპოვებული ისეთი ისტორიული უპირატესობა, რომ-

ლის დაჯობნა აღემატება ქართველი ერის რეალურ ძალას.

„შეიძლება, ეს აგრეც იყოს“, მოსალოდნელია აქ ასეთი პასუხი: „შეიძლება ქართველი მრეწველობა იყოს სუსტი, მაგრამ სახელმწიფომ უნდა გაუწიოს მას მფარველობა, აი ისთე როგორც ხდებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში“. ეს პასუხი გამოგონილი არ არის. ჩვენ დავინახეთ, რომ ასეთი აზრი გამოითქვა უკვე ჩვენს ლიტერატურაში. მაგრამ ის არ არის მართალი.

ჩვენი სახელმწიფო ვერ გაუწევს მფარველობას ქართულ კერძო მრეწველობას. ამას წინაღუდგება პირველად ყოვლისა თვით ქართველი ხალხი, როგორც ქალაქში შცხოვრებთა ისთე სოფლის მეურნეთა კლასი. ნუ დაგავიწყდება, რომ პროტექციონიზმის ხანა და თანამედროვე ხანა ერთ მეორეს ძლიერ დაშორებული არიან. თუ კოლხების დროს პოლიტიკური ძალა-უფლება მეფის ხელში იყო და დემოკრატია არავითარ მონაწილეობას არ იღებდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში, დღეს ჩვენში ეს პოლიტიკური ძალა-უფლება დემოკრატიის ხელშია. თვით ქართველი ხალხი განაგებს თავის ბედს და, რა თქმაა საჭირო, არავის არ მისცემს ნებას, რომ ხალხის უმცირესობის ინტერესებს შეეწიროს ხალხის უმრავლესობის კეთილდღეობა. ქართული პროტექციონიზ-

მი არის contradiction in adjecto, თუ ავიღეთ თანამედროვე პოლიტიკური ძალთა განწყობილება.

როგორც ქართული პროტექციონიზმი, ისთე ქართული იმპერიალიზმიც შეუძლებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. საქართველო ველარ შესძლებს სამხედრო ძალის საშუალებით გარანტია მისცეს. ქართული მრეწველობის აუცავებას. ჯერ ამას არ დაანებებს თვით ქართველი დემოკრატია, რომელიც იბრძვის. თუ მის ბუნებრივ განვითარებას ეწინააღმდეგება გარედან მოწოდილი ფიზიკური ძალა, მაგრამ არ დასთანხმდება იმაზედ, რომ სისხლი ღვაროს ქართველი ხალხის უმცირესობის ინტერესების დასაცავად და თავის თავის რეალურ ინტერესების წინააღმდეგ.

ესეც რომ ასთე არ იყოს, დღეს შეუძლებელია აგრესიული პოლიტიკის წარმოება. აგრესიული პოლიტიკის ხანა უკვე ისპობა სრულიად. უზარმაზარი სახელმწიფოები იძულებული არიან დაუქვემდებარონ. თავისი სურვილები მსოფლიო გავითარებას: არსდება ხალხთა ლიგა. ასეთ პირობებში ოცნება ქართულ იმპერიალიზმზედ ან, ქართულ პროტექციონიზმზედაც მოუმწიფებელი ოცნება იქნება. ამაზედ ლაპარაკიც არ ღირდა, რომ ჩვენს ლიტერატურაში არ აღძრულიყო ეს კითხვა. \*).

\*) პროფ., ხ. ავალიანი ამბობს: რომ ამ მისი შემდეგ კულტ

მაშ, გარეშე ბაზრის დაპყრობა ქართულ მრეწველობას არ შეუძლია თავის სისუსტის გამო. პოლიტიკური ძალაც ვერ დაეხმარება მას ამ შემთხვევაში.

გავსინჯოთ ეხლა, შეუძლია თუ არა ქართულ მრეწველობას შინაური ბაზრის დაპყრობა. დღეს ჩვენ, ქართაღლიდგა პროტექციონიზმით (იხ მისი რუსულად დწერილი წიგნაკი თანამედროვე ომის ყკონომურ შედეგებზე, გვ. 3). ამის დასამტკიცებლად მას მოყავს ის მაგალითი, რომ ინგლისში განზრაჭული აქვთ აღკრძალონ უცხო ქვეყნიდან მოტანილ საქონლის გაყიდვა ისეთ ფასებში, რომელიც უფრო ნაკლებია, ვიდრე ამავე საქონლის ფასი იმ ქვეყანაში, საიდანაც ის მოვიდა. ამ განზრახვით, მაგალითად, ინგლისში აკრძალული იქნებოდა რუსული ზაქრის გაყიდვა 3 კაპეიკად გირვანჭა, რადგანაც თვით რუსეთში ეს ზაქარი ღირდა 10 კაპეიკი. ასეთ განზრახვას პროფ. ავალიანი პროტექციონიზმის განახლებას უწოდებს. მე ვფიქრობ, რომ ეს არის არა პროტექციონიზმის განახლება, არამედ პროტექციონიზმის, როგორც სისტემის, სრული მოკვლა. ახლად შექმნილ პირობებში პროტექციონიზმს ეკარგება აზრი არსებობისა. თუ რუსეთის მრეწველისთვის ისეთი მდგომარეობა შეიქნება ინგლისში, რომ ის ვერ გაასაღებს იქ თავის ზაქარს 10 კაპ. უფრო ნაკლებად; ის ვერ გაასაღებს ინგლისში სრულიად თავის საქონელს, რადგანაც თვით ინგლისში დამზადებული ზაქარი, რომელსაც ყოველ შემთხვევაში ტრანსპორტი არ სჭირია, უფრო იაფი იქნება. ამნაირად რუსეთის პროტექციონიზმს ეცლება სრულიად ნიადაგი. მაგალითი. რომელიც მოყავს ბ. ავალიანს, ამტკიცებს არა პროტექციონიზმის განახლებას, არამედ მრავალობას.

ველები, ვსარგებლობთ გარედან შემოზიდულ ინდუსტრიალურ საქონლით. შესაძლებელია თუ არა, რომ ქართულ ქარხნებში დამზადებულმა ფაბრიკატებმა გააძევოს უცხოეთიდან შემოზიდული საქონელი საქართველოს ბაზრიდან?

ჯერ-ჯერობით ესეც ფრიად პრობლემატიური რამ არის. პროტექციონიზმს ამ შემთხვევაში დაც ჩვენ ვერ მივმართავთ, რადგანაც ამას წინააღმდეგება საერთაშორისო პოლიტიკა, რომელსაც ჩვენი პოლიტიკის მიმართულებაში ბატონობა ეყუთვნის. ესეც რომ ასთე არ იყოს, თვით საქართველოს დემოკრატია, დაინტერესებული იაფ-ფასიან ფაბრიკატებში, ეწინააღმდეგება მუდამ საბაჟო ტარიფებს.

თავი რომ მოვუყაროთ ყველაფერს, რაც ითქვა ზევით საქართველოში მრეწველობის გავითარების შესახებ, ჩვენ დავინახავთ, რომ ქართული მრეწველობის აყვავებას ელობება დიდი დაბრკოლებები, იმისთვის რომ: 1. მას ყავს მძლავრი მეტოქე უცხო ქვეყნების მრეწველობაში. 2. ჩვენი მრეწველობა მოკლებულია საშუალებას. პოლიტიკური გარანტიით უზრუნველყოს თავისი გავითარება: ხალხმა ხელთ იგდო პოლიტიკური უფლება უფრო ადრე, ვიდრე მრეწველობა გავითარდებოდა. დაგვიანებული გამოვიდა ქართველი ერი მსოფლიო ასპარეზზედ, ამისათვის თავის

სებური იქნება მისი ეკონომიური ეკოლუციაც.

ჩვენ ვლაპარაკობდით ჯერ იმაზედ, რომ საქართველოში არ არსებობს ის მიზეზი მრეწველობის გავითარებისა, რომელიც ზევით ჩვენ პირველ რიგში დავასახელეთ. არ არსებობს ჩვენს ქვეყანაში მეორე მიზეზიც, რომელმაც ხელი შეუწყო დასავლეთ ევროპის მრეწველობის გავითარებას: ჩვენ გვაქვს აქ მხედველობაში ის, რც ითქვა ზევით საშუალო საუკუნოების ცეკობრივი წყობილების მიერ დამზადებულ პირობებზე. ჩვენს ისტორიას არ შეუქმნია ქართველ კაცები ის თვისება, რომელიც საჭიროა ქარხნის მუშისათვის. ქართველ კაცს ახასიათებს ერთგვარი სიძულვილი წვრილმანი პედანტიზმისადმი. ხანგრძლივმა ისტორიამ გამოსჭედა ქართველში ეს თვისება, რომელსაც უნდა გაეწიოს ანგარიში ჩვენი ეკონომიური ეკოლუციის გათვალისწინების დროს.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ ვთვლი შემდეგ განმარტებას. როდესაც მე ვლაპარაკობ საშუალო საუკუნოების ცენტებზე, მე მხედველობაში მაქვს ერთი თვისება დასავლეთ ევროპის ცენტებისა: სასტიკი რვგლამენტაცია აღამიანის მოქმედებისა. ამ რეგლამენტაციამ ხელი შეუწყო მანქანისებურ წარმოების აღმო-ცენებისათვის საჭირო ფსიქიურ თვისებების გამომუშავებას აღამიანში. აღამიანი შეეჩვია მანქანისებურ გაზომი-

ლობით მოქმედებას საშუალო საუკუნოების ცენტრის ზეგავლენით. ცენტრი წარმოადგინდა, და ამით მოამზადენ მანქანური მრეწველობის შესაძლებლობა.

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ყოველგან, სადაც ცენტრი არსებობდენ, უნდა მრეწველობაც გაჩნდეს: ცენტრი წყობილება ევროპაში იყო ერთ-ერთი პირობა მანქანისებური წარმოების აღმოცენებისათვის. იქ, სადაც ეს ცენტრი არ არსებობდა ან უკეთ რომ ესთქვათ, იქ, სადაც აღამიანი არ არის მიჩვეული მათემატიკური გაზომილობით იმოქმედოს, ძნელია მანქანისებური წარმოების დაფუძნება.

რაც შეეხება საკითხს საქართველოში ცენტრის არსებობის შესახებ, ეს კერძო საკითხია. შეიძლება, ოდესა-შე საქართველოში იყო ცენტრი წყობილება, მაგრამ ჩვენი დებულების დასარღვევად საჭიროა დამტკიცება, რომ თანამედროვე ქართველი კაცის ბუნება ატარებს ცენტრი წყობილების დალს, რომ მას ახასიათებს თავის მოქმედების გაზომილობა, ერთგვარი ავტომატიზმი. ამის დამტკიცება კი შეუძლებელია: ცენტრი წყობილების და თანამედროვე ქართველის შორის თანდათანობის ძალი გაწყვეტილია. რა ცვლილებები მოხდება მომავალში, ამაზე ძნელია იქ ლაპარაკი. მაგრამ ერთი რამ ფუკტია: პიროვნების ემანსიპაციამ საქართველოში

გაასწრო მრეწველობის დამკვიდრებას, და ეს უკვე სრულიად ორიგინალურ ელფერს აძლევს. საქართველოს მომავალ ვითარებას. ერთი და იგივე ძალა, არსებობისათვის ბრძოლა; საქართველოში მიიღებს არა იმ ფორმებს, რომელიც გვიჩვენა დასავლეთ ევროპაში. დაწვრილებით ამის დასაბუთება შორს წაგვიყვანდა.

ზოგს შეიძლება ეს საბუთი სუსტ საბუთად მოეჩვენოს. მაგრამ ეს არ არის ასე. ქართველი მუშების ხაშუალებით არსებული ქარხანა ოდნავადაც ვერ შესძლებს თანასწორ პირობებში მეტოქეობა გაუწიოს ისეთ ქარხანას, სადაც მუშაობს ინგლისელი, გერმანელი ან ფრანგი მუშა, საუკუნოების განმავლობაში მიჩვეული პედანტიურ წვრილმანობას, მიჩვეული იმ აზრს, რომ ადამიანი არის მანქანა. მუშის ფსიქოლოგია უუდიდესი ძალაა წარმოების პროცესში. შემცდარი იქნება ამიტომ ის, ვინც იკვლევს რომელიმე ქვეყნის ეკომომიურ ეკოლოგიას და არ ღებულობს მხედველობაში აქ მობინადრე ერის სულიირ თვისებებს.

ჩვენი გამოკვლევა არ იქნება სრული, თუ არ მივაქციეთ ყურადღება ერთს აზრსაც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მრეწველობის აღმოცენებას აბრკოლებს ბევრი რამ, მას აქვს ერთი უპირატესობა: ეს არის ბენების სამდიდრე ან ნედლი მასალის სიუჩვე. ჩვენ ზე-

ვით ვეგულისხმობდით რომ თანასწორ პირობებში ქართველ მრეწველს არ შეუძლია მეტოქეობა გაუშიოს და სავლეთ ქვეყნების მრეწველობას. შინაურ ბაზარზედაც: მაგრამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად საჭიროა ვიცოდეთ, თანასწორია ეს პირობები თუ არა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ საქართველოს მრეწველობისათვის არა სასარგებლო პირობები. ეხლა უნდა აღინიშნოს სახეირო პირობებიც.

ქართული მარგანეცი ასაზრდოვებს გერმანიის ქართნებს. გარდა მარგანეცისა, საქართველო მდიღარია ქვანახშირით. როგორც მთიანი აღგილი, საქართველოს ტერიტორია გვაძლევს ჩვენ უამრავ წყლის ენერგიას. საქართველოს ხე-ტყე გააქვთ იტალიაში. ყველა ამის გამო თანასწორ პირობებში ერთი საათის შრომა საქართველოს ბუნებრივ ძალებზე იძლევა იმდენ მოსახმარ ღირებულებას, რამდენსაც ვერ მოგვცემს, მაგალითად, იმავინტენსივობის 3 საათის შრომა სხვა უფრო ცუდს ბუნებრივ პირობებში, ამ ამაშია უპირატესობა საქართველოს მრეწველობისა.

ამ უპირატესობის გამოსაყენებლად საჭიროა პირველად ყოვლისა პოლიტიკური გარანტიები, უნდა იცნონ საერთაშორისოდ ქართველი ერის უფლება იმ ტერიტორიაზედ, სადაც ის სახლობს, ე. ვ. საჭიროა რომ იც-

ნონ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა არა  
მარტო de facto, არამედ de jure.

მაგრამ ეს არ კმარა. თვით საქართველოში უნდა  
შეიქნას ისეთი პირობები, რომ შესაძლებელი გახდეს  
მისი ბუნებრივი სიმღიდრის სამრეწველო მიზნით გამო-  
ყენება.

ჯერ-ჯერობით საქართველოში არ არის ასეთი პი-  
რობები მოცემული: არ არის მსხვილი კერძო კაპიტალი,  
რომელიც სულს ჩაჰერავს საქართველოს ბუნებას. რო-  
გორ შეიძლება გაჩნდეს ეს კაპიტალი? ეს რთული პრო-  
ბლემაა, რომელსაც სჭირია განსაკუთრებული ანალიზი.

ბ. უორდანია ამ პრობლემას იოლად სწყვეტდა. მი-  
სი აზრით ნატურალურ მეურნეობის დაშლის შემდეგ  
ჩწყება ფულით წარმოებული მეურნეობა. გლეხობა გა-  
დადის ასეთ მეურნეობაზე. ამასთან ერთად ჩაღდება კონ-  
კურენცია წვრილ მესაკუთრე გლეხთა შორის. კონკუ-  
რენცია იწვევს უფრო მძლავრი მწარმოებლის გამარჯვე-  
ბას და უფრო სუსტის დამარცხებას. ამ დამარცხებას  
შედეგად მოპყვება ის, რომ უმთავრესი ნაწილი წვრილ  
მესაკუთრე გლეხობისა და პარგავს თავის საკუთრებას,  
რომელსაც შეიძენენ უფრო ძლიერი მესაკუთრენი. ამ  
გზით გაჩნდებიან ერთის მხრივ პროლეტარები, მეორეს  
მხრივ მსხვილი კაპიტალის პატრონები:

ცხადია, რომ არაფერი ასეთი არ ხდება და არ მოხდება ქართულ სოფლებში. მასისური პროლეტარი ზაკია ნაყოფი იყო დასავლეთ ევროპის ისტორიულ გა ვითარების განსაკუთრებელ პირობებისა, რომელთა მზგავ სი საქართველოში არაფერი მოგვეპოვება. საქართველო სოფლებში საკუთრება მიღის არ კონცენტრაციისაკენ არამედ დეცენტრალიზაციისაკენ. ამას ხელს უწყობს როგორც ეკონომიური, აგრეთვე პოლიტიკური პირო ბებიც. მსხვილი საკუთრება ნაკლებ შემოსავლიანია ქართულ სოფელში, ვიღრე წვრილი საკუთრება. მსხვილი საკუთრებას აქვს *raison d'être* ექსტენსიურ მეურნეობაში საქართველოს ბუნება კი პირდაპირ აიძულებს სოფლი მეურნეს ინტენსიურ მეურნეობაზე გადასვლას. უკან სკნელი ფორმა მეურნეობისა კი მოითხოვს წვრილ მე საკუთრის ინიციატივას და შრომას. პოლიტიკური პირობებიც რომ არ უწყობდეს ხელს, თვით ძალდაუტანელი პროცესის ჩვენი ეკონომიური ევოლუციისა ადრე თუ გვიან სრულიად დაშლიდა მსხვილ მიწის საკუთრებას, რომელიც ნაშთია ბატონ-ყმური წესწყობილებისა. იქ, საღაც უწინ დადიანის თვალუწვდენელი მამული ძლივს ასაზრდოვებდა რამოდენიმე ასეულო აჯახის, დღეს სარჩოს პოულობს რამოდენიმე ათასეული აჯახი; აღ მიანის შრომამ გააცოცხლა ბუნება, რომელიც მკვდარი

ყო ბატონ-ყმობის დროს. ამნაირად მსხვილი საკუთრების დაშლა პროგრესიული მოვლენაა. ქართულ სოფ-ოებში, რომლის ევოლუციას სრულიად არ მივყავართ ერძო კაპიტალის კონცენტრაციისაკენ.

გადავხედოთ აბა ჩვენი მიწათმფლობელობის ისტო-იას გლეხების განთავისუფლების შემდეგ. სად არიან ართველი მიწის მესაკუთრე მაგნატები? მათი რიცხვი ევოლუციამდისაც მცირე იყო. რა ქნა რევოლუციამ, ველამ იცის. უკან დახევა ჩვენს ხალხს არ შეუძლია, აოგორც ოცნებობს ერთი ჯგუფი ქართველი რეტრო-რაცებისა. დადიანები, ბაგრატიონები, ქსნის ერისთა-ები წავიდენ: მათ ავად თუ კარგად შეასრულენ თავის ისსია. მათთან ერთად ჩაბარდა ისტორიას მსხვილი სა-უთრებაც ქართულ სოფელში. დადიანების ადგილი კაჭირენ მათ გუშინდელ ყმებმა; რომლებმაც მაგრად ასჭიდენ ხელი მიწას და ცლილობენ მას ზეთი გამოა-ინონ. განა თვით ბ. უორდანიამ და მისმა მეგობრებმა, ინაალმდევ თავის თეორიისა, არ დასთანხმდენ, რომ ეს სე მომხდარიყო?

მაში იმის იმედი, რომ ქართულ სოფელში თავს თიყრის კერძო მესაკუთრის ხელში მსხვილი კაპიტალი, რულიად უსაფუძვლოა. შეიძლება, ქართულმა ქალაქმა ჟისქლობ მსხვილი კერძო კაპიტალის გაჩენა?

ბ. უორდანიას ესეც იოლად ქონდა გადაწყვეტილი. კონკურრენციის გამო ქალაქშიც ერთი მესაკუთრე (მოხელე) სჯობნის მეორე მესაკუთრეს და ითვისებს მის ქონებას. აქაც მოხელეთა მასსა გაიყოფება ორ ნაწილად: მსხვილ მესაკუთრე მოხელეებად და საკუთრებას მოკლებულ პროლეტარებათ. აქაც კაპიტალის კონცენტრაცია და პროლეტარიზაცია პარალლელურად მოხდებათ.

ამ შემთხვევაშიც ისე, როგორც სხვაგან, ბ. უორდანია სცდება. ევროპაში პირველ ყოფილი კაპიტალის დაგროვება თავისუფალ კონკურრენციას კი არ შეუქნია მხოლოდ. აქ მოქმედობდა მთელი რიგი ისტორიულ მიზეზებისა, რომელიც შეიძლება ერთ კათეგორიაში მოვათავსოთ: ს ზოგადოებრივი ან თლითიკური ინსტიტუტი არ ეღობებოდა წინ კა იტალისტის ყაჩალობას. სახელმწიფოს ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია სათანადო ზომები მიეღო ახალი ფორმის ყაჩალობის წინააღმდეგ, რომელმაც იჩინა თავი კაპიტალისტის სახით. პირველყოფილი კაპიტალის დაგროვებას თან სდევდა ეგრედ წოდებული ოფლის გამომწურავთ სისტემა, შინაური მრეწველობა, 18 საათის სამუშაო დღე, საქართვო კანონმდებლობის სრული არ-არსებობა, მცირეწლოვან ბავშვთა შრომა და სხვა. ყველაფერი ეს შესაძლებელი იყო იქ, სადაც ხალხის მასსა მოკლებული იყო

პოლიტიკურ უფლებებს. რაც შეეხება კოლონიებს, აქ, რა თქმა უნდა, პიროვნების უფლება კიდევ უფრო ნაკლებად იყო დაცული. უცხოელის სიცოცხლე ჩალის ფასად ფასდებოდა ევროპიელის თვალში. მისი უფლება საკუთრებაზე უარყოფილი იყო ფაქტიურად. ახალი ფორმაციის ყაჩალები ცარცვავდენ ყოველგვარ მფარველობას მოკლებულ დაპყრობილ ხალხებს \*). სახელმწიფო და დასჯის მაგივრად დახმარებასაც უწევდა ამ ყაჩალებს. სამხედრო ძალით, პოლიციით და სხვა გვარადაც \*\*). ასეთ ხელსაყრელ პირობებში არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა კაპიტალის დაგროვება: ინგლისის კაპიტალისტი გაკეთდა ინგლისის ხალხის უმრავლესობის ანგარიშზე, ხოლო მთელი ინგლისი გასუქდა კოლონიების სისხლით და ხორცით.

სულ სხვა მდგომარეობაში ვიმყოფებით ჩვენ. საქართველოში ხალხის ემანსიპაციამ წაუსწრო წინ კაპიტალის დაგროვებას. ეს კი აბრკოლებს ამ უკანასკნელს. თვრა-მეტი საათის სამუშაო დღე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. შეუძლებელია. მცირე წლოვანთა შრო-

\*) იხ. ამაზე ჩემი „ბოლშევიზმი და საქართველო“, გახ. საქართველოში, 1920 წ. № 38.

\*\*) შეად. კ. მარკსი—კაპიტალი ტ. I, თავები შინაურ მრეწველობაზე და პირველყოფილ დაგროვებაზე..

მის ექსპლოატაციის შესაძლებლობაც მოსპობილია: სახელმწიფო ავალებს, რომ მცირე წლოვანი ბავშვები სკოლაში სწავლობდენ და არა ქარხანაში მუშაობდენ. საზოგადოთ მას შემდეგ, რაც ხალხმა ჩაიგდო პოლიტიკური ძალა-უფლება ხელში, ის ზომებს მიიღებს იმის წინააღმდეგ, რომ ერთეულებმა არ დაარღვიონ საზოგადოებრივი ინტერესი. დემოკრატიზმი და ყაჩაღობა შეუთავსებელი ცნებებია, განურჩევლად იმისა, თუ რა ფორმა აქვს ამ ყაჩაღობას: დიდ შარაზე იარაღით ცარცუის თუ ქარხანაში გარეგნულად მშეიდობიანი წარმოების.

თუ შინ, საქართველოში, აღკვეთილია გზა კერძო მსხვილი საკუთრების დაგროვებისთვის, შეიძლება, საქართველოს გარედ ეს გზა ქართველი კაცისთვის გახსნილი იყოს? არც ეს ითქმის. საქართველოს გარეშეც ქართველ შემძენელს ხვდება ან დემოკრატიული წესწყობილება, რომელიც შემძენლებს კანონიერ და მათთვის არა-ხელ-საყრელ პირობებში აყენებს, ან უცხო შემძენელს. (ინგლისელს, ფრანგს, გერმანელს), რომელსაც ზურგს უმაგრებს მძლავრი სახელმწიფოს პოლიტიკა. სპარსეთში რომ ქართველი ინგლისელს ვერ აჯობებს, ეს დამტკიცებას არ თხოულობს.

ლაპარაკობენ, რომ თანამედროვე არევ-დარევის ხანით ბევრმა ქართველმა ისარგებლა და დიდი ქონება შე-

იძინაო. საეჭვოა, რომ სპეცულიაციით შეძენილ სიმდიღრეს მტკიცე საფუძველი ექნება. იგივე სპეცულაცია მიიყვანს ბევრს, ვისაც ჩვენ დღეს ქონებიანად ვთვლით, სრულ გაკოტრებამდის.

მაშ, მიუხედავად ჩვენი ბუნების სიმდიღრისა, საქართველოში არ არსებობს მსხვილი კაპიტალი ამ ბუნების გამოსაყენებლად. გარდა ამისა პერსპექტივებიც არ არის იმისთვის, რომ ჩვეულებრივი კონკურენციის გზით ეს კაპიტალი გაჩნდება საქართველოს წიაღიდან.

ბუნებრივი სიმდიღრე კი, ცხადია, დამუშავებას თხოულობს. კაცობრიობის დანიშნულება სწორედ ამაში შესდგება, რომ მთელი ბუნება დაიპყრას და თავის მიზანს დაუქვემდებაროს.

როგორ უნდა მოხდეს ეს საქართველოში?

არის ორი გზა ამისთვის. ერთი გზაა — უცხო კაპიტალის საქართველოში მოპატიუება შეღავათიან პირობებში. ამ გზას აქვს ის დადებითი მნიშვნელობა; რომ ასე თუ ისე საქართველოს მკვდარი ბუნებრივი ძალები გაცოცხლდება. ლომის წილს აქედან მოსალოდნელ მოგებისას წაიღებს, რა თქმა უნდა, უცხოელი ორგანიზატორი. საქართველოს კი მხოლოდ ფინჩხები დარჩება. სულ არარაობას, ფინჩხებიც სჯობია, თუ სხვა უფრო ხელსაყრდნობ საშუალებება არ მოგვეპოვება. ძალიანაც

რომ მოვისურდეთ უცხო კაპიტალის წინააღმდეგობა, ჩვენ ვერაფერს შევძლებთ, ვინაიდან საქართველოს პოლიტიკა განისაზღვრება არა მხოლოდ ქართველი ერის პირდა-პირი ინტერესებით, არამედ ამ უკანასკნელთა დანარ-ჩენ კაცობრიობის ინტერესებთან შეფარდებით.

მეორე გზაა — კომპერაციის გზა; ამ სიტყვის ფარ-თე მნიშვნელობით, რომელიც მოითხოვს არსებულ სო-ციალურ ურთიერთობის გარდაჭმას. ამისათვის კი სა-ჭიროა ქართული საზოგადოებრივობის გავითარება, რაც შევძლებელია ხალხის მასშის განათლების და დისკიპლი-ნის გარეშე.

რომელ გზას აირჩივს საქართველო ამ ორიდან?

ქართველი ხალხის თანამედროვე გავითარების ღონი-არ არის საკმაოდ მომზადებული იმისთვის, რომ არსე-ბულ სოციალურ ურთიერთობის (ე. ი. კერძო საკუთ-რების) გარეშე ის შესძლებს ნაყოფიერ მუშაობას. ქარ-თველებისაგან შემდგარი საზოგადოებრივი წარმოება ორ დღესაც ვერ გაუძლებს უცხოელთა კონკურენციას, მი-უხდავად იმისა, რომ ამ წარმოებას ფრიად შეღავათიანი პირობები ექნება საქართველოს უხვი ბუნების სახით. ქართული საზოგადოებრივი წარმოება, გარეშე კონ-კურენციაც რომ არ იყოს, თვით დაიშლება შინაურ წი-ნააღმდეგობის გამო. დღევანდველ ქართულ საზოგადოე-

ას შეუძლია არსებობა მხოლოდ მტკიცე და შედარებით ასტიკ რეჟიმის ქვეშ. თავისუფლად და წევრთა კეთილრებით შემდგარი საზოგადოება საქართველოში ჯერ ვერ გაუძლვება ასეთ რთულ საქმეს, სადაც საზოგადო ინტერესს ბრძოლა უხდება მრავალ დაბრკოლებასთან გარედან და შიგნიდან.

მაშ თუ ჩვეულებრივ კონკურენციის ძალით კაპიტალის დაგროვების გზა საქართველოს აღკვეთილი აქვს, თუ კოოპერაციის გზაც მისთვის ჯერ მიუწვდომელია ხალხის კულტურულ განუვითარებლობის გამო, გვრჩება მხოლოდ ერთი გზა მრეწველობისათვის საქართველოში: ეს არის უცხო კაპიტალის შემოჭრა.

გვინდა თუ არ გვინდა, უცხოელები შემოვლენ საქართველოში და ჩვენი ქვეყანა გახდება მათთვის ექსპლოატაციის ობიექტად \*).

\*) გილფერდინგის დაკვირვებით ამ ბოლო დროს ხდება ქვერთიული კაპიტალის ემიგრაცია. ეს აგხებს ბ. თ. ლლონტს ოპტიმისტური გრძნობებით. თუ ინდოეთის მრეწველობა ისე გამავრდა, რომ კონკურენციას უწევს მეტროპოლიას, რად არ უნდა ჩვენც დიდი იმედები გვქონდეს ჩვენი მრეწველობის მომავალზეც, ფიქრობს ბ. ლლონტი (იხ. მისი რუს. წიგნი ბოლშევიზმის აღმოსავლ. პოლიტიკაზე). მაგრამ საკითხი იმაშია, ვინ არის ინდუსტრიის პატრონი; აბორიგენები თუ ინგლის

სანამდის გაგრძელდება ეს ასე? მანამდის, ვიდრე ამ მოხდება საყოველთაო სოციალისტური ოევოლუციაზე, გვიპასუხებენ ზოგიერთი ჩვენი სოციალისტები. საქართველოს ხსნა შეიძლება მხოლოდ სოციალიზმის საშუალებით, ფიქრობენ ისინი.

მაგრამ ჯერ ერთი საყოველთაო სოციალისტური ოევოლუციის იმედი ევროპაში თანდათან ქარწყლდება. ნაციონალურ უპირატესობის გრძნობამ მოკლა დასაფლეთ ქვეყნებში სოციალურ რევოლუციის სურვილი \*).

ამას აქვს თავისი მიზეზები: ეკონომიური ლიბერალიზმის დოქტრინა, რომელიც ეყრდნობოდა ცნობილ პრინციპს „laissez faire, laissez passer“, თანდათან კარგავს დასავლეთ ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებში თავის გავლენას. თუ უწინ იმ აზრს იზიარებდენ, რომ საზოგადოებრივ პროგრესს ქმნის თითოეულ პიროვნებათა განცალკევებული ენერგია და სრული თავისუფლება პიროვნებისა არის საუკეთესო გარანტია ამ პროგრესსისათვის,

სელები. ინდოელისათვის სულ ერთა ვინ ყვლეფს მას, მაღრასელი თუ ბირმინგამელი ინგლისელი.

\*). თანამედროვე ევროპაში სოციალური ოევოლუცია შეიძლება იყოს მხოლოდ სოციალისტური. ამის გამო სიტყვა სოციალური და სოციალისტური ერთსა და იმავეს ნიშნავინ.

თანდათან დასავლეთი ევროპა და ჩრდილოეთი ამერიკა დაწმუნდენ ასეთ სოციალურ ატომიზმის სისუსტეში. დღეს ყველა დასავლეთ ქვეყნებში სახელმწიფო მძღვრს გავლენას ახდენს სოციალურ ურთიერთობაზე და საზოგადოთ მთელს ეკონომიურ ცხოვრებაზე: სოციალური ატომიზმის იდეა დამარცხდა და პროგრესის მექანისტურმა ინტერპრეტაციამ ადგილი დაუთმო ორგანიულ თეორიას.

აი ეს არის მიზეზი იმისა, რომ დღეს ეკონომიურად დაწინაურებულ ქვეყნებში სახელმწიფო ზრუნავს მუშათა კლასსზე. ამისი მაგალითები მრავალია. ინგლისმა, რომელიც ერთ დროს სასტიკად ებრძოდა მუშების შეკავშირებულ გამოსვლას, დიდი ხანია აღიარა კავშირების თავისუფლება. გერმანიის ინიაციატივით თითქმის ყოველგან შემოღებულია მუშების სახელმწიფო დაზღვევა, რაც აშკარად გამოხატავს იმ აზრს, რომ სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ყველა თავის წევრის ეკონომიურ კეთილდღეობაზე. ყოველგან თანდათან იზრდება და რთულდება საქარხნო კანონმდებლობა, რომელიც აწესა რიგებს მუშათა შრომას ჰიგიენის მოთხოვნილების შესაფერისად. დღეს დასავლეთ ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ეკონომიურად დაწინაურებულ ქვეყნებში მუშა კაცი კარგს მატერიალურ პირობებში იმყოფება. ჩვენი

სტუდენტები, რომლებსაც უცხოვრიათ გერმანიაში, და მეთანხმებიან იმაში, რომ გერმანელი მუშის ბინა გაცა ლებით უკეთესია, ვიდრე ჩვენი შეძლებული მემამულის ცხოვრების სხვა შეღავათით: საჭმლით, სასმლით, ოეატ რით, გაზეთით, წიგნით, მუსიკით და სხვ., სულ უკანასკნელი ევროპიელი მუშა უფრო უზრუნველყოფილია ვიდრე ძლიერ მდიდარი მესაკუთრე ჩამორჩენილ ქვეყნებისა. ყველა ამით ევროპის მუშათა კლასსი უნდა უმაღლოდეს. თავის სახელმწიფოს, რომელიც აგებულია კერძო საკუთრებაზე დამყარებულ კუონომიურ ურთიერთობაზე. ევროპა სწოვს დანარჩენ კაცობრიობას და ყველთავის წევრს აგებინებს ამით: კაპიტალისტაც და მუშაც. გარეშე მძლავრი სახელმწიფოს შემწეობისა, ევროპიელი მუშა ვერ ეღირსებოდა იმ მდგომარებას, რომელშიც ის დღეს იმყოფება.

ევროპიელ მუშის დღევანდელი კეთილდღეობა არის შედეგი არა-ევროპიელ ქვეყნების სასტიკი ექსპლოატაციისა ევროპიელ სახელმწიფოთა მიერ. ცხადია, რომ ევროპიელი მუშა დაინტერესებულია არსებული წესწყობილების შენარჩუნებაში, რადგანაც ის აძლევს მას პრივილეგიებს. ევროპიელი მუშა იცავს თავის სახელმწიფოს მაშასადამე იცავს იმ კუონომიურ საფუძველს, რომელზე დაც ემყარება ეს სახელმწიფო, ე. ი. კერძო საკუთრებას.

კერძო საკუთრების პრინციპის უარყოფა ანგრევს სახელმწიფოს, ვინაიდან სახელმწიფო არის ერთი გამოსახულება საკუთრებისა.

ინგლისელი მუშა, ომმელიც გაცილებით უფრო კარგად ცხოვრობს, ვიდრე მაგ., სპარსეთის დიდი მესაკუთრე, მშვენივრად ამჩნევს, რომ ასეთი უზრუნველყოფილი ცხოვრებით ის უნდა უმაღლოდეს ინგლისელ კაპიტალს, რომელმაც დაიბყრო მთელი დედამიწის მესამედი და თავის ნადავლის ნაწილს, თუმცა შედარებით მცირეს, მაგრამ თავისთავად საკმარ დის, აძლევს მუშასაც. ამნაირად ინგლისის მუშათა კლასი და კლასი კაპიტალისტებისა არამც თუ არ ფიქრობენ ურთიერთ განხეთქილებაზე, პირიქით თანდათან უფრო მჭიდროდ უკავშირდებიან ერთ მეორეს: კაპიტალისტი თანდათან აუგობდესებს მუშის მდგომარეობას და სპობს ამით უკმაყოფილების საფუძველს.

რაც ხდება ინგლისში, თითქმის იგივე ხდება საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში. საუკეთესო მომენტი სოციალური რევოლუციისთვის შექმნა თანამედროვე ამმა, მაგრამ ცდა ასეთ რევოლუციისა დამარცხებულ გერმანიაში უშედეგოდ დარჩა. ასევე უშედეგოდ დარჩება ეს ცდა რუსეთშიც \*). მუშათა მღელვარება ამ

\*). ის. ჩემი წერილი „ბოლშევიზმი და ხაჭალთველო“.

ომით გამოშვეული თანდათან ქრება და ცხოვრება ჩადის ნორმალურ კალაპოტში.

ამნაირად არ მართლდება მარქსის პროგნოზი, რომ შიგ კაპიტალისტურ ერის ფარგლებში მოხდება სოციალური რევოლუცია და კლასსობრივი დაარღვევს სახელმწიფოებრივს ან ეროვნულსო.

მართალია, ევროპის პროლეტარიატს დღესაც ინტერნაციონალი აკერია პირზე, მაგრამ ვინ დაუჯერებს მის გულწრფელობას. ვინ ღვრიდა ერთ-მეორის სისხლს ამ ომში, თუ არა პროლეტარები? საეჭვოა, რომ ინგლისის პროლეტარიატმა მოინდომოს ქართველი პროლეტარიატის ძმობა: ეს სრულიად არ არის მისთვის ხელისაყრელი, სხვა მოსაზრებით კი ინგლისელი, როგორც უაღრესად ეგოისტური არსება, არ გაუწევს ამხანაგობას ქართველ კაცს.

მარქსის აზრით, ინტერნაციონალი არის გზა სოციალისტურ რევოლუციისაკენ, რომლის ინიციატივას იყისრებენ მოწინავე ერები (უკეთ, ამ ერების მუშათა კლასსი). დღეს კი ირკვევა, რომ ეს ასე არ მოხდება. მოწინავე ერები (სხვათა შორის ამ ერების მუშათა კლასები) დაინტერესებული არიან არსებულ სოციალურ ურთიერთობის შენარჩუნებაში. აღსანიშნავია, რომ მარქსი, რომელიც პროგრესის მამაძრავებელ ძალებს ყო-

ველთვის კაცობრიობის ქვედა წრეებში ეძებდა \*), ამ შემთხვევაში ღალატობს თავის პრინციპს, და ახალ წესწყობილების დასამყარებელ ძალას ეძებს კაცობრიობის მრისტოკრატიაში: დასავლეთ ევროპის ერებში. ეს ახესნება მხოლოდ იმით, რომ მარქსისაც დასავლეთ ევროპის ვითარება წარმოდგენილი ქონდა, როგორც სრულიად ზამოუკიდებელი ისტორიული პროცესი, რომელზედ არ ახდენს გავლენას დანარჩენ ქვეყნების ვითარება. რომ ეს შემცირარი შეხედულებაა, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ.

თუ არსებული სოციალური წესწყობილება დაიტლვევა, მოხდება ეს დასავლეთ ევროპის გარეშე მყოფ ქვეყნების გავლენით. პროგრესს ამოძრავებენ დღეს ესენი. ესენი ქმნიან მთავარ ღირებულებებს \*\*). ევროპა კი ბატონობს და მკის სხვის ნამუშევარის ნაყოფს. ხანდისხან ატყდება ხოლმე შიგ ევროპაში კლასსური უთანმოება, თუ ვერ შერიგდენ ნადავლის გაყოფაში. მაგრამ კვლავ შეთანხმდებიან და განაგრძობენ ძველებურს ბატონობას.

\*) ეს ცხადდება უკვე „კომუნისტურ მინიფესტში“, 1ადაც მარქსი ამტკიცებს, რომ მუშების განთავისუფლება ეკონომიკურ მონობიდან თვით მუშების ხელით უნდა მოხდეს.

\*\*) გერ. ქიქოძეს ეს კარგად აქვს აღნიშნული, იხ. მისი „პოლიტიკური წერილები“.

ამ ომის წინ ერთი ინგლისელი მკვლევარი (ნორ-  
მან ენჯელი) ამბობდა, რომ ომი ევროპის სახელმწიფო-  
თა შორის შეუძლებელია, ვინაიდან ის დაღუპავს ორი-  
ჰე შეომარ მხარესო. მიუხედავად ამისა ომი მანც მოხდა.  
მაგრამ ამ ომის აუწერელ შედეგებმა საჭიროდ გახადეს  
ისეთი პირობების, შექმნა, რომ მომავალში დასავლეთ  
ევროპის მოწინავე სახელმწიფოთა შორის ომი შეუძლე-  
ბელი იქნეს. დასავლეთ ევროპის ერებმა დაიყვენ ურ-  
თიერთ შორის მთელი კაცობრიობა და ფიქრობენ მიე-  
ცენ აწი მშვიდობიან; აუღელვებელ ცხოვრებას.

მაში თუ დასავლეთ ევროპის მუშათა კლასი, თან-  
ლათან რეფორმიზმით ჩაჭერილი, კარგავს რევოლუციურ  
სულს, და ურიგდება არსებულ სოციალურ წესწყობის  
ლებას, სად უნდა ვეძიოთ ჩვენ პროგრესის მამოძრავე-  
ბელი ძალა? — ცხადია, რომ მხოლოდ ევროპის გარეშე,  
ფრანგომიურად და პოლიტიკურად დაჩაგრულ ერებში  
ეროვნულ გრძნობის გაღვიძება მაღში არის ერთად ერ-  
თი გზა თანამედროვე ურთიერთობის გარდასაქმნელად.  
მარქსი ფიქრობდა სოციალისტურ სამეფოში ინტერნა-  
ციონალის საშუალებით. შესვლას. ინტერნაციონალი  
განუხორციელებელი ლცნებაა კაპიტალისტურ ხანაში.  
ერთად ერთი გზა ახალი ფორმებისაკენ არის ნაციონა-  
ლური გრძნობის გაღრმავება. პროგრესის იქმნება არა

დაწინაურებულის ჩამორჩენილისადმი სიყვარულით. ეს უტოპიაა, როგორც ამას მრავალჯერ ამხილებდა თვით მარქსი. პროგრესის იქმნება ჩამორჩენილის ეგოიზმით, რომელიც აიძულებს მას წინსვლას. სიყვარული მოყვა- სისადმი—კონსერვატიული ძალა, პროგრესს კი ამო- ძრავებს სიძულვილი მტრისადმი.

ყველა ზემოთქმულიდან ცხადია, რამდენად უსაფუძვ- ლოა იმის იმედი, რომ დასავლეთ ევროპის სოციალისტური რევოლუცია გაუმჯობესობს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას. პირუკუ, თვით საქართველოსი, როგორც ჩამორჩენილ ქვეყნის გამაგრება, არის აუცილობელი პო- რობა დასავლეთ ევროპის ჰეგემონიის. მოსასპობად და ინტერნაციონალის დასამყარებლად.

რა რესსურსები გვაქვს ჩვენ დღეს ამისათვის? ჩვენ ვნახეთ, რომ მრეწველობა არ გვაქვს, და ახლო მომა- ვალში არც გვექნება. გვრჩება მაშასადამე მხოლოდ ერ- თი. რამ: სოფლის მეურნეობა.

აქ მართლაც დიდი პერსპექტივები იშლება ჩვენს თვალ წინ. თუ დღეს საქართველოს ტერიტორია ძლივს ასაზრდოვებს ორ მილიონ ნახევარ ხალხს, მეურნეო- ბის: ინტენსიფიკაციის საშუალებით ეს ტერიტორია ბევრჯერ უფრო მეტს ხალხს მისცემს სარჩის. ამას მო- წმობს საქართველოს ისტორიაც.

ეჭვს გარეშეა, რომ საქართველო ძველად, მიუხედავად იმისა, რომ ის არ იყო მჩერწველობის ცენტრი და სოფლის მეურნეობით ცხოვრობდა, უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული ვიდრე დღეს. ცნობილი მკვლევარი გაქსტჰენი აღნიშნავს, რომ საქართველოში დღესაც მოიპოვება ნაშთები, რომლებიც მოწმობენ მისი მეურნეობის მაღალ გავითარებაზე წარსულში \*). ესეც რომ არ იყოს, განა მხოლოდ რუსთაველის სახელი საკმაოდ არ მოწმობს იმაზედ, თუ რა მაღალ გავითარებას შეუძლია მიაღწიოს საქართველომ სოფლის მეურნეობის საშუალებით. დღეს, ჩვენი ჩამორჩენილობის გამო, ათა ქცევა მიწა ძლივს იძლევა 200—300 მანეთად ღირებულ წლიურ მოსავალს. შეიძლება კი გაუმჯობესებულ მეთოდის საშუალებით თითო ქცევიდან 2000—3000 მანეთად ღირებულ მოსავლის მიღება \*).

ვიდრე სოფლის მეურნეობა ამოწურული არ არის, მჩერწველობის გავითარებაც შეფერხებულია. მჩერწველობა იყიდებს ფეხს იქ, სადაც სოფლის მეურნეობა უკვე არ ყმარა. სწორედ ამიტომ არის, რომ ბუნებით სოფლის მეურნეობისათვის სუსტად დაჯილდოვებული ქვეყნები

\*, F. V. Haxthausen—Transkaukasia.

\*) იხ. ურნალი „Русские субтропики“, 1912 წ. № 10, პროფ. კრასნოვის წერილი.

ხდება ჩვეულებრივ მრეწველობის ასპარეზად. იმ ქვეყნებში კი, სადაც ბუნება უხვია, მრეწველობა ვითარდება სუსტად. ადამიანის ურჩევნია ბუნების წიაღში ყოფნა; ქარხანაში ის მხოლოდ იძულებით შედის.

მაშ მრეწველობისათვის ნიადაგის მოსამზადებლად პირველად ყოვლისა საჭიროა სოფლის მეურნეობით ჩვენი ქვეყნის ბუნების ამოწურვა.

აი აქეთკენ უნდა იყოს დღეს ჩვენი ერის ყურადღება მიმართული.

რა აბრკოლებს ჩვენში სოფლის მეურნეობის გავითარებას? გარეშე ძალა მას არ აბრკოლებს. პირიქით, უცხო ქვეყნები დაინტერესებული არიან საქართველოდან ნედლი მასალის მიღებაში. ლიონის ბირჟა ბეჭითად ადევნებს თვალყურს, რამდენი ფუთი აბრეშუმის დამზადებას შესძლებს ყოველ წელს საქართველო. არა ნაკლები ინტერესით ეპყრობიან უცხოელები თამბაქოს, ხილის, ღვინის, სიმინდის, მატყლის, ბამბის. წარმოებას საქართველოში: გარეშე ძალა საქართველოს სოფლის მეურნეობას მხოლოდ დახმარებას გაუწევს.

თუ დაბრკოლება ხვდება სოფლის მეურნეობის აყვავებას ჩვენში, ეს არის მხოლოდ ხალხის განუვითარებლობა, რომელსაც ეშველება იმავე მეურნეობის საშუალებით.

ჩვენი ეროვნული არსებობის მთავარი რესსურსია დღეს სოფელი, გლეხობა, რომელიც წარმოადგენს მთელი ერის 95% ამ გლეხობას უნდა დაეყრდნოს ის, ვისაც სურს საქართველოს ბრწყინვალე მომავალი. გლეხობა არის ის. წრე, რომლის წიაღიდან უნდა იშვას ახალი საქართველო: ქართველი ერის იდეა ჩამარხულია საქართველოს გლეხობაში.

რომ ნათლად წარმოუდგეს მკითხველს ჩემი წერილის პოზიტივური ნაწილის შინაარსი სასარგებლოდ ვთვლი ცალკე დებულებებში მისს გამოხატვას.

1. ქართველი ერის ევოლუციის ხაზი განისაზღვრება ორ ძალთა ურთიერთობით: შინაურისა და გარეშე ძალის.

2. შინაურ ძალის ქვეშ ვგულისხმობ ერის ბუნებრივ ნიჭებს, მისს გრძებრივს და ზნეობრივ განვითარებას, მის ფიზიკურ აგებულებას და ეკონომიკურ სიმდიდრეს, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია ერის ტერიტორიაზე და მის უფლებებზე ამ უკანასკნელზე.

3. გარეშე ძალის ქვეშ ვგულისხმობ უცხო ერების პოლიტიკურს და ეკონომიკურ ძალას, რამდენადაც ესენი ეხებიან საქართველოს ვითარებას.

4. საქართველოს ეკონომიკური ევოლუციის გამოსაზალი წერტილი დღეს არის სოფლის მეურნეობა, რომ-

ლის განვითარებას ხელს უწყობს საქართა-შორისო კონიფრნეტურა.

5. ქართული მრეწველობის განვითარებას საქართველოში დღეს დღეობით ელობება მრავალი დაბრკოლება.

ა. დასავლეთ ქვეყნების ეკონომიკური კონკურენცია.

ბ. დასავლეთ ქვეყნების პოლიტიკური ჰეზემონია.

გ. დემოკრატიული წესწყობილება საქართველოს რესპუბლიკისა.

6. დასავლეთ ქვეყნების ჰეგემონიიდან თავის დასაღწევად საჭიროა:

ა. ეროვნული ძალის გამაგრება.

ბ. მსგავს მდგომარეობაში მყოფ დაჩიგრულ ერებთან კავშირი.

7. ქართული მრეწველობა შესაძლებელი გახდება არა-არსებულ სოციალურ ურთიერთობის საფუძველზე.

8. ბრძოლა ახალ სოციალურ წესწყობილებისათვის დებულობს ეროვნებათა შორის ბრძოლის ხასიათს, სა-დაც დასავლეთი ევროპა და სხვა კაპიტალისტური ერე-

ზი ძველ წესებს იცავენ, ხოლო დანარჩენი ქვეყნები მოჲ  
ითხოვენ ახალ წესების დამყარებას.

9. ახალ სოციალურ წესწყობილებისათვის საერთა  
შორისო ბრძოლაში ეროვნული ინტერესი უკარნახებს  
საქართველოს მებრძოლთა რიგში ჩადგეს.

*მო-კუნძული  
1958  
+ 103 გვერდი*

199

25